ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 221 (19962) პარასკევი, 25 სექტემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გუშინ მოსკოვში, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დაიწყო ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სსრ დღეები

საქართველოს სსრ დღეები მოსკოვში. სურათზე: მგზავრის ავტომატური სისტემების განყოფილების გამგე თამაზ ჯინჭიხაშვილი საროტორე გულარების ახალი დანადგარის დემონსტრირების დროს.

ა. რუხაძის და ბ. ცაგარლის ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მითითებების შესაბამისად სასურსათო საკითხის გადაჭრის დაჩქარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და 1985 წლის აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ახალი ეკონომიკური მექანიზმის, ინტენსიური ტექნოლოგიების ათვისებისათვის მიმდინარე მუშაობა დადებით გავლენას ახდენს იმაზე, რომ გაიზარდოს შრომითი კოლექტივების დაინტერესება საბოლოო შედეგებით, ხელს უწყობს დაბანდებული სახსრების უკუგების გადიდებას. შარშან სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მატებამ 5 პროცენტი შეადგინა, რაც შესაბამება მიმდინარე ხუთწლედისათვის გათვალისწინებულ ზრდის ტემპს. შემცირდა ზარალიანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რიცხვი, გაიზარდა მათი რენტაბელობა, პირველად უკანასკნელი წლების მანძილზე შემცირდა დანახარჯები ერთეულ პროდუქციაზე.

ამავე დროს, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, სურსათის სწრაფი მატების დიდ შესაძლებლობებს მთლიანად ვერ ვიყენებთ. ორ-სამჯერ ნელია, ვიდრე საშუალოდ დარგში, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მატების ტემპი ტაჯიკეთში, სომხეთში, ნოვგოროდის, ჩელიაბინსკის და ამურის ოლქებში. დაძლეული არ არის რუტინული მოვლენები უზბეკეთის აგრარულ ეკონომიკაში.

სასურსათო პროგრამის დავალებებს მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ მარცვლეულის წარმოებაში რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ბევრი ოლქი, ზეთოვანი კულტურების წარმოებაში — მოლდავეთის სს რესპუბლიკა, ხორცის მხრივ — აზერბაიჯანისა და ლიტვის სს რესპუბლიკები.

სასურსათო პრობლემების გადაჭრაზე უარყოფით გავლენას ახდენენ არსებითი ნაკლოვანებანი სოფლის სოციალურ განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნით კაპიტალური დაბანდებანი უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე 1,4-ჯერ გაიზარდა, სოფლად ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საექსპლოატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი სახლების რიცხვი მაინც მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ქალაქებში. სერიოზულად ჩამორჩება მისი კეთილმოწყობა, სამედიცინო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის განვითარება, მყარსაფარიანი გზების მშენებლობა.

კვლავ მოქმედებენ ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ შრომითი კოლექტივების სამეურნეო აქტიურობისა და დამოუკიდებლობის, მოსახლეობის ინიციატივის განვითარებას. საკმარისად არ იყენებენ წარმოების რეგულირების ეკონომიკურ ბერკეტებს, ნელა ითვისებენ დაგეგმვის ნორმატიულ მეთოდებს, ჯეროვნად არ ვითარდება სახელშეკრულებო ურთიერთობა. მეცირემმგებლიანი და ზარალიანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ რეალიზებული პროდუქციის შესასყიდი ფასების დანამატებს ხშირად იყენებენ უწინარესად შრომის ანაზღაურებისათვის. ჯერ კიდევ არ დაუძლევიათ ადმინისტრირება, მეურნეობებს, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის მკაცრი რეგლამენტაცია.

საკავშირო და ადგილობრივი საგეგმო და სამეურნეო ორგანოები ჯეროვნად არ აფასებენ სასურსათო პრობლემის გადაჭრისათვის გადამუშავების ბაზის განვითარების დაჩქარების მნიშვნელობას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, სამეურნეო ორგანოებს, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაავალა შემუშაონ და განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად გადაუდებელი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თითოეულ რაიონში, ქალაქში, ოლქში, მხარეში, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკაში სასურსათო მომარაგების შემდგომ არსებითს გაუმჯობესებას.

წამოყენებულია წინადადება ყოველნაირად გაფართოონ და გაღრმაონ დემოკრატიზაციის პროცესები, განავითარონ აგროსამრეწველო კომპლექსის, სხვა სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების, სოფლის მოსახლეობის, ყველა მოქალაქის ინიციატივა, გაზარდონ მათი დაინტერესება სასურსათო რესურსების გაზრდით. კოოპერაციის შესახებ ლენინური იდეების საფუძველზე უფრო გაბედულად დანერგონ მეურნეობრიობის ახალი ფორმები და მეთოდები, საბოლოოდ აღმოფხვრან ამ მიზნით ყველა დაბრკოლება და შეზღუდვა, რომლებიც აფერხებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდას როგორც კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო საწარმოთა დამხმარე მეურნეობებში, ისე ინდივიდუალურ სექტორშიც. მტკიცედ დაუჭირონ მხარი და გააგრძელონ იმ პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის გამოცდილება, რომლებმაც მეურნეობრიობის ახალ პირობებში სწრაფად უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა, ცენტრალიზებულ ფონდებში მისი საგეგმო მიწოდების შესრულება, და მიაღწიეს, რომ საგრძნობლად გაუმჯობესებულიყო ადგილობრივი მომარაგება. ამავე დროს უნდა აღიკვეთოს სხვისი მოიმედოობა, ცალკეულ ხელმძღვანელთა მისწრაფება იმუშაონ ჰაიჰარად, მუშაობაში ხარვეზებით გამოწვეული სურსათის ნაკლებობა სახელმწიფოს ხარჯზე აინაზღაურონ.

საჭიროდ არის მიჩნეული მკვეთრად გავზარდოთ მელიორაციაში დაბანდებული სახსრების უკუგება, ამ ფაქტორის გამოყენებით მივაღწიოთ მოკლე ვადებში სურსათის არსებითს მატებას. სსრ კავშირის სახაგრომრეწვი, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოვალენი არიან ამ მნიშვნელოვან საქმეში სათანადო წესრიგი დაამყარონ, შეწყვეტონ სახსრების უნაყოფო დაბნდება, გამოიყენონ იგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უპირველეს მოთხოვნილებათა შესაბამისად პროდუქციის დამატებითი წარმოებისა და ეკონომიკის განმტკიცების ინტერესებისათვის.

სურსათის შეგვსების ყველა წყაროს ყველგან ამოქმედების გზით მისი ზრდის ტემპის დაუყოვნებლივი და მნიშვნელოვანი დაჩქარება სკკპ ცენტრალურ კომიტეტს პარტიის პოლიტიკის უმთავრეს, საკვანძო ამოცანად მიაჩნია. ამასთან უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ ეკონომიკის აგრარულ სექტორში საზოგადოებრივი წარმოების დაჩქარებული განვითარება ქვეყანაში სასურსათო საკითხების გადაწყვეტის მტკიცე საფუძველი და კარგი ბაზაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად გამოვიყენოთ აგრეთვე საწარმოთა და მოქალაქეთა დამხმარე მეურნეობების, სურსათის დამატებითი მიღების სხვა წყაროების შესაძლებლობანი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპზე მეურნეობრიობის ეკონომიკური მეთოდების ზემოქმედების გაძლიერებისათვის, იმ მიზნით, რომ შრომითი კოლექტივები უმეტესი ეფექტიანობით იყენებდნენ თავიანთ საწარმოო პოტენციალს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც აგროსამრეწველო კომპლექსში შედიან, დაავალა 1988-1989 წლებში ყველა საქვეუწყებო კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სხვა საწარმოები და ორგანიზაციები გადაიყვანონ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

საგეგმო და საფინანსო ორგანოებს, აგროსამრეწველო კომიტეტებსა და გაერთიანებებს დაევალათ გაითვალისწინონ აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური ურთიერთობის მოწესრიგების ახალი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მეურნეობების, საწარმოების და ორგანიზაციების გაფართოებულ კვლაგაწარმოებას უპირატესად საკუთარი სახსრების ხარჯზე. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ იმ შესასყიდი ფასების ფორმირებას, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივად საჭირო დანახარჯების ანაზღაურებას და სტიმულს აძლევენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და დანახარჯების შემცირებას. განაგრძონ მუშაობა დაგეგმვის, დაფინანსების, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების, მართვის დემოკრატიზაციის მიზნით.

საჭიროდ არის მიჩნეული, რომ უკვე ახლა, მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლისას, ყოველმა საწარმომ და ორგანიზაციამ გაითვალისწინოს რეალურად შექმნილი ვითარება, სამეურნეო ანგარიშის მოთხოვნები, ხარჯები მკაცრად შეუსაბამოს საკუთარ ფულად შემოსავალსა და სესხის დაფარვის ვადას. ბოლო მოუღოს რეალური პროდუქციით განუმტკიცებელი შრომის ანაზღაურებისათვის კრედიტების გამოყენებისადმი მომხმარებლურ მიდგომას. წინადადება მიეცათ 3 თვის ვადაში შეიმუშაონ აგროსამრეწველო კომპლექსის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა საწარმოებისა და გაერთიანებების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების პროგრამა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა პარტიულ კომიტეტებს, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს 1988 წელს დაამთავრონ შრომის ორგანიზაციის საიჯარო ფორმებზე ყველა საწარმოო ქვეგაანაყოფის გადაყვანა. ამასთან მაქსიმალურად გაითვალისწინონ მრავალფეროვანი პირობები იჯარის ფორმებისა და მეთოდების არჩევისას, აღმოფხვრან ფორმალიზმი, ინერტულობა, შაბლონი ამ მნიშვნელოვან საქმეში. ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი იმ საწარმო კოლექტივებს, რომლებიც გრძელვადიანი (10-15 წელი) იჯარით იღებენ წარმოების საშუალებებს და მიწის ნაგდვილი ბატონ-პატრონები არიან.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების ყურადღება მიეპყრათ ისეთ ფაქტებს, როგორიც არის არასწორი, მოჩვენებული დამოკიდებულება ოჯახური და ინდივიდუალური იჯარისადმი, მათში ჩაქსოვილი დიდი პოტენციური შესაძლებლობების შეუფასებლობა. დაევალათ განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი ამ ორგანიზაციული ფორმების ფართო გამოყენების მიზნით. წინადადება მიეცათ წარმოების ყველა მონაწილის, მათ შორის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების შრომის ანაზღაურება უშუალოდ დაუქვემდებარონ მთლიან შემოსავალს, აგრეთვე გამოიყენონ წარმოების სტიმულირების სხვა ფორმები. გაზარდონ სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის ნატურალური ანაზღაურების ხვედრითი წილი და მისი ოდენობა მკაცრად დაუკავშირონ საბოლოო შედეგებს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ სამეურნეო ანგარიშის, შრომის ორგანიზაციის საიჯარო ფორმების სრული ათვისება მიზანთმოქმედებისა და მეცხოველეობის, გადამამუშავებელი მრეწველობის ინტენსიფიკაციასთან ერთად და ამის საფუძველზე სურსათით მოსახლეობის მომარაგების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიღწევა აგროსამრეწველო კომპლექსში მიმდინარე გარდაქმნის შეფასების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კვლავაც ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ქალაქების სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოთა შესაძლებლობანი, რათა დავძლიოთ ჩამორჩენა სოფლის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. ქალაქის საწარმოები და ორგანიზაციები მოწოდებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმაში, რომ განმტკიცდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განსაკუთრებით შორეულ რაიონებში, აშენდეს სოფლად საცხოვრებელი სახლები, სკოლები, სკოლამდელი და სამედიცინო დაწესებულებები, კულტურისა და საყოფაცხოვრებო ობიექტები, გზები, ინტერნულად აღიმეტერეოს და კეთილმოეწყოს სასოფლო დასახლებული პუნქტები. ყველა ეს სამუშაო შეასრულონ სახელშეკრულებო საფუძველზე და მოახმარონ როგორც საწარმოების, ისე თვით მეურნეობების ძალები და სახსრები.

(დასასრული მე-2 გვ.).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ☐ მოვლენა ☐ კომენტარი

საოქტომბრო შრომითს ვახტზე

ახლოვდება დიდი ოქტომბრის დღესასწაული. საიუბილეო განწყობილებაა მთელ ჩვენ რესპუბლიკაში. შრომითი კოლექტივები ყველაფერს ღონობენ საიმისოდ, რომ პირნათლად შეასრულონ სახელმწიფო გეგმა და ვალდებულებანი.

ჟიათურის სტალინის სახელობის მაღაროთასამმართველოს კოლექტივმა წლის დამდეგიდან 2300 ტონაზე მეტი ზეგეგმითი მანგანუმი გაუგზავნა მომმხარებელს. მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, რის შედეგადაც მარტო წლის პირველ ნახევარში 450 ათასი მანეთი დაიზოგა. კოლექტივი დიდ ყურადღებას უთმობს ძირითადი და დამხმარე მასალების რაციონალურ გამოყენებას, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებისა და მექანიზაციის უახლესი საშუალებების გამოყენებით ხელის შრომის შემცირებას.

მაღაროელები უკვე მჭიდროდ მიუახლოვდნენ დასახულ მიზნებს — საშვიდნოემბროდ შეასრულონ ხუთწლედის 2 წლის გეგმა.

▼▼

რუბრიკ ცაგერიდან გვატყობინებენ, ლაჯანურჰესის კოლექტივმა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას უკვე 27.744 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია მიაწოდა. ამასთან აქ მკვეთრად გააუმჯობესეს ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი, შეიმუშავეს ელექტროენერგიის უკეთ მიწოდების პროგრამა, რომელიც წარმატებით ხორციელდება. მოუყვლებული ძალური ტრანსფორმატორები ახალი ტიპის გაცილებით მძლავრი აგრეგატებით იცვლება, რაც კიდევ უფრო გაზრდის ჰიდროსადგურის სიმძლავრეს.

▼▼

სიღნაღი. „იორწყალმშენის“ ტრესტმა რვა თვის საწარმოო დავალება 108 პროცენტით გაანაღდა. სადღეისოდ 12 მილიონამდე მანეთის სამუშაოებია შესრულებული.

საოქტომბრო ვახტზე მეწინავეობენ და შრომითი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები, რომლებსაც ი. ჩაკვეტაძე, ე. ჩოგოშვილი და შ. მოლაშვილი ხელმძღვანელობენ.

▼▼

ტყიბულის ჩაის ფაბრიკამ რესპუბლიკის მონათესავე საწარმოთა შორის ერთ-ერთმა პირველმა ვადამდე შეასრულა მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და მისი თვითღირებულებაც შეამცირა.

ეს წარმატებები რამდენადმე ფაბრიკაში მომუშავე ოჯახურ დინასტიათა დამსახურებაც არის. ვეტერანთა შორის არიან აბელ ქამუშაძე, ლია რიჟამაძე, ძმები ბოკუჩავები და მათი ოჯახის წევრები.

▼▼

შუახევის რაიონის სოფელ კიბინოძეების კოლმეურნეები დღითი დღე აჩქარებენ რძის, ხორცის წარმოებისა და უხეში საკვების დამზადების ტემპს.

საკვებდამამზადებლებმა ვალდებულება იკისრეს გეგმით გათვალისწინებული 195 ტონის ნაცვლად 200 ტონა თივა დამაზადონ და 185 ტონა სილოსიც ჩადონ, რაც დავალებაზე 5 ტონით მეტია.

ბორბალი ამინდის პირობებში მოუხდათ მუშაობა წლეულს საკვებდამამზადებლებს. შემოდგომის დამდეგსაც ჩვეულებრივზე ადრე აცივდა, მაგრამ ამ მწვავე სიტუაციიდან გამოსავალი გზა ყველგან როდი გამოუნახავთ, რესპუბლიკის ფერმებს კი საკვები აკლიათ. ტყიბულის ზონის, გეგეჭკორის, დმანისის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, მახარაძის, მარნეულის, ზობის, წალენჯიხის, წულუკიძის და სხვა რაიონების მეურნეობებში უხეში საკვები შარშანდელზე გაცილებით ნაკლები აქვთ მომზადებული და წლევანდელი გეგმის შესრულების მაჩვენებლითაც საშუალო რესპუბლიკურ დონეს ჩამორჩებიან.

ამ წარუმატებლობას მარტო ამინდს რომ ვერ დავაბრალებთ, ამას ბევრი მეურნეობის საკვებმომპოვებელთა წლევანდელი მუშაობის გამოცდილებაც მოწმობს. მაგალითად, გურჯაანის, ყვარლის, გორის, ასპინძის რაიონების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებმა შარშანდელზე მეტი უხეში საკვები დაამზადეს და გეგმებიც გადამეტებით შეასრულეს. მათი უმეტესი მეზობლები კი (ახალციხის, ქარელის, საგარეჯოს რაიონები) ამ საქმეში ჩამორჩებიან.

ზამთრისათვის საკვების დაგროვების მდგომარეობა მთლიანად რესპუბლიკაშიც არასახარბიელოა. ფერმებთან ყველანაირი ფურაჟი წარშანდელზე ნაკლებია მიტანილი. განსაკუთრებით მისახედია თივის დამზადება, რადგან გეგმა მხოლოდ 63 პროცენტით არის შესრულებული და შარშანდელი დონის მიღწევასაც 17 პროცენტი აკლია.

ბალახის ფხვნილის წარმოების გეგმის შესრულებაში მეტისმეტ გულდამშვიდებას იჩენენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და წოთელწყაროს რაიონები.

საკვების მინდორი ჯერ კიდევ იძლევა ჩამორჩენის დაძლევის იმედს. სხვადასხვა კულტურის მოსავლის ნარჩენებით, ნათესი ბალახების განმეორებითი თიბვით შეიძლება სილოსის, თივის მარაგის შევსება. ამ რესურსების მაქსიმალური გამოყენებისათვის კი სულ ორი-სამი ხელსაყრელი კვირაღა თუ დარჩა. ამ დროის ყოველი საათი ზამთრისათვის ფერმების მომზადებას უნდა მოხმარდეს.

სწორედ ამაზე მიუთითებდა გაზეთ „პრავდის“ 23 სექტემბრის მოწინავე სტატია, სადაც ჩვენი რესპუბლიკა გაკრიტიკებულია იმის გამო, რომ ზამთრისათვის მომარაგებული პირუტყვის საკვები საკმარისი არ არის.

მიმოხილვა

ფერმებს საკვები აკლია

ორბიტის ამბები

ფრენის მართვის ცენტრი, 28 სექტემბერი. (საკდენი). ფრენა დაამთავრა „პროგრეს-31“ ავტომატურმა სატრანსპორტო ხომალდმა, რომელიც 1987 წლის 4 აგვისტოს გაიყვანეს დედამიწისირგვლივ ორბიტაზე.

დღეს ფრენის მართვის ცენტრიდან მიღებული მითითების შესაბამისად მოხდა სატვირთო ხომალდის ორიენტირება სივრცეში, ხოლო მოსკოვის დროით 4 საათსა და 22 წუთზე ჩაირთო მისი ძრავა დანადგარი. დამუხრუჭების შედეგად „პროგრეს-31“ ხომალდი გადავიდა დაშვების ტრაექტორიაზე, შემოვიდა ატმოსფეროს მკვრივ ფენებში და არსებობა შეწყვიტა.

იური რომანენკო და ალექსანდრე ალექსანდროვი განაგრძობენ მუშაობას „მირ“ კომპლექსში. დღის წესრიგით გათვალისწინებულია ცალკეული სისტემების სარეგლამენტო მომსახურება, სამეცნიერო აპარატურის მომზადება მომავალი კვლევისა და ექსპერიმენტებისათვის.

ორივე კოსმონავტი თავს კარგად გრძნობს.

ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

სწრაფი რიტმით მუშაობენ კამეოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“. მთელი კოლექტივის ერთსულოვანი შრომის შედეგად საწარმო სტაბილურად და მწყობრად მოქმედებს, მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს. ახლა აქ ეშზადებიან ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს. ერთ-ერთი მოწინავეა საქსოვი საამქრო, რომელიც სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია.

სურათზე: კომკავშირელი ნინო აბესაძე საქსოვ საამქროში მუშაობს. მან სამი წლის წინათ ფრიადზე დაამთავრა № 24 სახაზო პროფტექნიკური სასწავლებელი და დღეს ერთ-ერთი საუკეთესო მქსოველია, იმ ბრიგადის წევრია, რომელიც სამეურნეო ანგარიშით მუშაობს.

ა. სააკოვის ფოტო.

სახალხო მეურნეობა

დავძლიოთ ჩამორჩენა, შევასრულოთ დავალება

რამდენიმე დღე და მესამე კვარტალიც დასრულდება. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში სწორედ ეს დრო გადამწყვეტ ეტაპად ითვლება. შრომითი კოლექტივები აანალიზებენ თავიანთ ნაჯაფ-ნაამაგარს და ასკვნიან, თუ როგორი საბოლოო შედეგებით შეიძლება დაამთავრონ მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელი. წლის განვლილ პერიოდში ზოგიერთი საწარმოს ცხოვრებაში მართლაც მოხდა გარდატეხა, ბევრი ნაკლი დადებით გამოცდილებით შეიცვალა, მაგრამ იქ, სადაც ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ზრუნავენ შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, საწარმოო სამძლავრეთა სრული ათვისებისათვის, პრობლემები გაჩნდა. საფრთხე შეექმნა წლიური სახელმწიფო გეგმა-ვალდებულების შესრულებას. არადა, გეგმა ქანონია, რომლის კორექტირება არასდროს და განსაკუთრებით წლის ამ მონაკვეთისათვის არავითარ ლოგიკას არ შეესაბამება.

დიახ, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

მოსალოდნელია, რომ რესპუბლიკის მრეწველობა სექტემბრის გეგმას 21 მილიონ მანეთს დაკარგავს. ეს კი ნიშნავს, რომ 9 თვეში სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპი 8 თვის შედეგებთან შედარებით შემცირდება და სულ 102,1 პროცენტს შეადგენს 8 თვეში მიღწეული 102,4 პროცენტის ნაცვლად.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკა კვლავინდებურად დაალატეს თბილისის ჩარხსაშენებელმა გაერთიანებამ, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ და ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ, რომლებმაც მილიონობით მანეთი დაგვაკლო. ახლა მათ მიემატა ახალქალაქის საბადგირო გზების მოწყობილობის ქარხანაც.

ერთი საკვალო ფაქტიც — 14,1 მილიონ მანეთს დაგვაკლებს აგროსამრეწველო კომპლექსი, მიუხედავად იმისა, რომ ჩაის მრეწველობა 9 მილიონი მანეთით გადაამეტებს საგეგმო დავალებებს. მაგრამ თუ ეს გადამეტება არ მივიღეთ მხედველობაში, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების ჯგუფში ჩამორჩენა შეადგენს 26,8 მილიონ მანეთს, აქედან აგრომრეწვში — 23,1 მილიონ მანეთს, საქმეთვნმრეწვში — 3,5 მილიონ მანეთს.

ზემოთ ჩამოთვლილ საწარმოორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, არაერთხელ მიეთითათ, ყველა ღონე ეხმარათ ჩამორჩენის დაძლევად. როცა საწარმოს მძიმე ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები აქვს, სწორედ ან დროს სჭირდება კოლექტივს მხარი ამოდგომა, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები კი ისევ აგრძელებენ უნიათოდ მუშაობას, გულთან არ მიაქვთ კოლექტივის სატკივარი და მხოლოდ ზერელე მომთხოვნელობას სჯერდებიან.

ყველამ კარგად იცის, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რესპუბლიკაში სასურსათო პროგრამის რეალიზაციას, სწორედ ამ დროს აგრომრეწვში კვების მრეწველობა 9,1-გზას ჩამორჩება 7 მილიონი მანეთით, ხილბოსტნეულის მეურნეობა — 13,6 მილიონი მანეთით. ყოველ ამ დარგს თავისი ხელმძღვანელი ჰყავს და თავისი სამსახურები აქვს და სწორი იქნება, თუ შედეგების შეჯამებისას პასუხი ამ ბლოკებისა და სამსახურების უშუალო ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ.

ახლა მთავარია, თვის დამლევამდე დარჩენილი დღეები ნაყოფიერად გამოვიყენოთ სახელმწიფო გეგმების შესასრულებლად, ან იმისათვის მაინც, რომ მკვეთრად შევამციროთ მოსალოდნელი ჩამორჩენა.

თუ როგორ უნდა ვზრუნავდეთ საწარმოო გეგმების უცილობელი შესრულებისათვის, როგორ შეიძლება ერთმანეთს შევუსაბამოთ ბრძოლა კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევისათვის და ამავე დროს კოლექტივის სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის ამის ნათელ მაგალითს იძლევა ენგურის ელექტროსადგურის კომბინატის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის საქმიანობა, ამ მხრივ კომბინატი შეიძლება მთელი რესპუბლიკისათვის საჩვენებელ საწარმოდ გადაიქცეს. გაზეთმა „კომუნისტმა“ 23 სექტემბრის ნომერში გამოაქვეყნა კომბინატის დირექტორის ოთარ ფაცაციას წერილი, მართალია, იგი ერთი სფეროს — ჯანმრთელობის კამტკიცების საკითხებს ეხება, მაგრამ მაინც ნათელ წარმოდგენას ჰქმნის იმაზე, თუ როგორ შეიძლება შრომითმა კოლექტივმა იზრუნოს სოციალური საკითხების გადაჭრაზე.

მაგრამ კომბინატში არის ისეთი ფაქტორებიც, რომლებიც აფერხებს მუშაობაში წარმატებებს. მაგალითად, გოფრირებული ტარის საამქროში იმდენი მზა პროდუქცია დაგროვდა, რომ, როგორც იტყვიან თავი კუდს ვერ მოიჭნევს. რკინიგზელები რტმულად არ აწვდიდნენ ვაგონებს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხანძრის საშიშროებასაც ქმნის.

საამქროში მუდმივად მორიგეობს სახანძრო მანქანა, ეს კი, ცხადია, ვერაფერი საქმეა.

მაგრამ ამჟამად მდგომარეობა სწორდება, ოპერატიული რეაგირება მოახდინა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ზ. პაპავამ. კომბინატს სათანადო რაოდენობით გაეგზავნა ვაგონები. იმედია, შემდგომშიც განაცხადების შესაბამისად გამოუგზავნიან ქარხანას ვაგონებს.

რესპუბლიკაში კვლავ დაძაბული ფინანსური მდგომარეობაა. 15 სექტემბრისათვის სალაროს გეგმის შესრულებაში ჩამორჩენამ თითქმის 46 მილიონი მანეთი შეადგინა, აქედან ნავაჭრის წილად მოდის 43 მილიონ მანეთზე მეტი. ამის გამო ხელფასი ბევრმა თავის დროზე ვერ მიიღო. ეს კი სრულიად შეუწყნარებელია: ხელფასის ყოველი დაგვიანების უკან ადამიანი, ოჯახია, რომელთა გამწყობა უსათუოდ მოქმედებს საერთო შრომის ნაყოფიერებაზე, საბოლოოდ დამზადებული პროდუქციის ხარისხზე. ამ საკითხებს ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე მკაცრი შეფასება მიეცა.

ცენტრალურ კომიტეტთან და მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფები. ამ საკითხებთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტი თვეში ერთხელ მოიწვევს განსაკუთრებით ჩამორჩენილი რეგიონების, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, ხოლო თუ საჭირო იქნება, მათი პასუხისმგებლობის საკითხს (ცენტრალური კომიტეტის ბიუროც განიხილავს.

მოსახლეობის ნაღდი ფულის მობილიზაციასთან დაკავშირებით ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ სახდაზღვევას, შემსალაროებსა და ფინანსთა სამინისტროს. ჩვენში ძალზე დაბალია მოქალაქეთა სიცოცხლისა და ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევის, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეებთან ანგარიშსწორების ისეთი პროგრესული სახეობის გავრცელების დონე, როგორიც არის შემსალაროს წიგნაკზე ხელფასის გადარიცხვა, (სხვათა შორის, ამას თითქმის არავინ არ აკეთებს). ჩვენში არ გავრცელებულა მომსახურების ისეთი ფორმაც, როგორიც არის კომუნალური მომსახურებისათვის უნაღდო ანგარიშსწორება და ბინის ქირის გადარიცხვა ბუღალტერიის შემეობით. ჯეროვნად ვერ ვიყენებთ აგრეთვე სხვადასხვაგვარი ლატარიის მოწყობის, შემნახველ სალაროებში მომგებიანი ანაბრების შესაძლებლობებს.

აუცილებელია მივაღწიოთ იმას, რომ მოსახლეობასთან ანგარიშსწორების უპირატესი ფორმა გახდეს სხვადასხვა საქონლის შეძენისა და მომსახურებისათვის უნაღდო ანგარიშსწორება, ყველგან უნდა დავნერგოთ საჩეკო სისტემა, ხოლო სადაც შესაძლებელია, მოვაწყოთ შემსალაროების სადისპეტჩერო სამსახური. სხვათა შორის, ამას წინათ ასეთი სამსახური შეიქმნა თბილისში, რომლის წყალობითაც სექტემბერში ქალაქის შემნახველ სალაროებს სახელმწიფო ბანკიდან არც ერთი კაპიკი არ მოუთხოვიათ დასახმარებლად.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სალაროს შემოსავლის გეგმების შესრულებაში მძიმე მდგომარეობაა. ჩამორჩენიან აფხაზეთი (დაახლოებით 8 მილიონი მანეთი), აჭარა (3 მილიონამდე), ქუთაისი (2,4 მილიონი), ფოთი (0,5 მილიონი), გორი (0,8 მილიონი), ზუგდიდი (0,8 მილიონი), ახალქალაქი (0,8 მილიონი), ბოლნისის (დაახლოებით 0,6 მილიონი), გარდაბნის (1,1 მილიონი), გურჯაანისა და ზესტაფონის (0,5-0,5 მილიონზე მეტი), მახარაძის (1,2 მილიონზე მეტი), თელავის (1,7 მილიონ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ცენტრალურ და ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მთელი მეცადინეობა მოახმარონ იმას, რომ უსწრაფესად გადაწყვიტონ საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანები — დაჩქარონ გადამუშავებელი მრეწველობის განვითარება, მისი ტექნიკური განახლება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის უფრო საფუძვლიანი გადამუშავებისა და უკეთ შენახვის გზით მიიღონ ხარისხიანი სასურსათო პროდუქტების უფრო არსებითი, რეალური დანაკლისი. საგეგმო, საფინანსო, აგროსამრეწველო და სხვა სამეურნეო ორგანოებმა თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ იმით, რომ დღეს და უახლოესი პერსპექტივისთვის გადამუშავების სფეროს განვითარება ყველაზე ეკონომიური და სწრაფი გზაა საიმისოდ, რომ მივიღოთ დამატებითი სურსათი და მისი გზრდის გზით მივაღწიოთ ქვეყნის ეროვნული შემოსავლის მატებას.

გაითვალისწინა რა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ პრობლემის გადაჭრის დაჩქარება, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ორ თვეში მოამზადოს და წარუდგინოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს წინადადება იმის თაობაზე, რომ 1988-1995 წლებში დამატებით გამოუშვან მოწყობილობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების აღჭურვისათვის. საჭიროდ არის მიჩნეული, ამ ამოცანის გადაწყვეტაში ჩაებან სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმო.

დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ ცენტროსოიუზმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა ძირეულად გაუმჯობესონ მოსახლეობის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნამატის დამზადებისათვის, საკუთარ საწარმოებში და შეკვეთის საფუძველზე მისი გადამუშავებისათვის მუშაობა, აგრეთვე მომარაგება-გასაღების საქმიანობა. იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს პირუტყვის, რძის, ხილის, ბოსტნეულის, კენკრისა და სოკოს დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ორგანიზაცია, გაფართოვდეს სოფლის მცხოვრებთა და დაბების მუშათა მომსახურება, საჭიროდ მიიჩნიეს მხარი დაუჭირონ ადგილობრივ წინადადებებს იმის შესახებ, რომ შეიქმნას კოოპერაციულ საწყისებზე საავტო-დამამზადებელი და გადამმუშავებელი საწარმოების ფართო ქსელი.

იმ მიზნით, რომ განვითარდეს სამეურნეო ინიციატივა, გაიზარდოს საჯაროობა მართვაში, აღმოიფხვრას ადმინისტრირება კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, გადამმუშავებელი, სამშენებლო და სხვა ქვეგანყოფებისადმი ხელმძღვანელობაში, მიზანშეწონილად არის მიჩნეული ყველავე დაიხვეწოს აგროსამრეწველო ორგანოების საქმიანობა, უწინარეს ყოვლისა რაიონულ დონეზე. ამასთან ფართოდ გამოიყენონ გამოცდილება, როცა რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას სათავეში უდგას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების წარმომადგენელთა კრებაზე (კონფერენცია) არჩეული საბჭო, მისი თავმჯდომარე კი მეურნეობათა ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტიანი ხელმძღვანელია. ამასთან გაერთიანების საშუშაო აპარატი საბჭოს მიმართ ანგარიშვალდებული უნდა იყოს.

პარტიული კომიტეტებს, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს რეკომენდაცია მიეცათ ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი და გაავრცელონ აგროსამრეწველო კომპლექსის ახალი, პერსპექტიული ფორმირებანი — აგროსამრეწველო კომბინატები და გაერთიანებანი, (აგროფირმები, საწარმო (სამეცნიერო-საწარმო) სისტემები, რომლებიც ხელს შეუწყობენ იმას, რომ დაჩქარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა, განხორციელდეს პროდუქციის წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის უფრო მჭიდრო ინტეგრაცია, შემცირდეს დანაკარგები და პროდუქციამ უფრო სწრაფად მიაღწიოს მომხმარებლამდე.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალათ იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ნაკვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით და კიდევ უფრო გააუმჯობესონ მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, აგროსამრეწველო კომპლექსის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების იდეურად მომზიფებული, კომპეტენტური ხელმძღვანელებით და სპეციალისტებით დაკომპლექტებისათვის. ნიადაგ იზრუნონ კოლმეურნეობის თავმჯდომარის, საწარმოს დირექტორის ავტორიტეტის გაძლიერების, მეურნეობათა და საწარმოთა ხელმძღვანელების სტაბილური შემადგენლობის შექმნისათვის, დაიცვან მათს კომპეტენციაში შემავალ საქმეებში ჩარევისაგან მათ მიმართ ჯარიმებისა და სხვა სანქციების უსაფუძვლო გამოყენებისაგან. უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭონ ყველა დონის კადრების სწავლას, რომელიც უწყვეტი ხასიათისა უნდა იყოს და უზრუნველყოფდეს მეურნეობრობის თანამედროვე მეთოდების ღრმა დაუფლებას.

ყურადღება მიეპყრო იმას, რომ უნდა გაძლიერდეს აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა მორალური სტიმულირება ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილოს აგროსამრეწველო წარმოებაში ყოველი ზონისათვის დადგენილი მიჯნების მიღწევისა და სოციალური სფეროს განვითარებაში შეტანილი კონკრეტული წვლილისათვის სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების მუშაკთა სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენის პირობები და წესი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაავალა უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესება, წარმოების გაძღოლის თანამედროვე მეთოდების პრაქტიკასთან სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანული კავშირი, ის, რომ სტუდენტები და მოსწავლენი ღრმად დაეუფლონ მეურნეობრაობის ეკონომიკურ მექანიზმს, ინტენსიურ ტექნოლოგიებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევებს, მეურნეობათა და საწარმოთა უფლებებისა და დამოუკიდებლობის გაფართოების, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითფინანსებაზე მათი გადაყვანის პირობებში სამმართველოს საქმიანობის ჩვევებს.

დადგენილებით წინადადება ეძლევა საკავშირო ალკ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის სახაგრომრეწვს პარტიულ, (საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებთან ერთად განახორციელონ მუშაობა, რათა ახალგაზრდობა ფართოდ ჩაებან აგროსამრეწველო კომპლექსის ძირითად დარგებში, გამოიჩინონ სათანადო ზრუნვა, რომ მათ ჰქონდეთ საჭირო საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკურად სუსტ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სტაბილური შრომითი კოლექტივების შექმნას. გაგზავნონ ამ მეურნეობებში ახალგაზრდობის ჯგუფები სოფლის მეურნეობის, სახალხო განათლების, კულტურის, სამედიცინო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალისტთა, აგრეთვე მასობრივ პროფესიათა კადრების შემადგენლობაში.

საკავშირო ალკ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს დაევალათ აწარმოონ საჭირო ახსნა-განმარტებითი მუშაობა თანამრეგში დასათხოვ მეომართა შორის. ისინი, ვინც სურვილი გამოთქვა იშრომოს სოფლის მეურნეობაში, გაგზავნონ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა საწარმოებში.

* * *

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილებანი „მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების, კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ და „საწარმოთა, ორგანიზაციათა და საბჭოებისა და დამხმარე სოფლის მეურნეობების შემდგომი განვითარების შესახებ“.

მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების, კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარების უფრო ხელშემწყობი პირობების შექმნის, ამ საქმეში დიდი ნაყოფიერების აღმოფხვრის მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს დაავალა განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა სტიმული მისცენ ხორცის, რძის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, კენკრისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოებას მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში, კოლექტიურ ბაღებსა და ბოსტნებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახელმეურნეო პირობებით, კოლექტიური და ოჯახური იჯარის პრინციპებზე საზოგადოებრივ წარმოებასთან მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობათა კოოპერაციის განვითარებას.

დადგენილია, რომ საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობასა და მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვისა და ფრინველის მოვლა-შენახვისათვის ეზოს ნაგებობების ასაშენებლად — 4 ათას მანეთამდე, რომელსაც დაფარავენ 10 წლის განმავლობაში, კრედიტის მიღების შემდეგ მესამე წლიდან დაწყებული;

პირად დამხმარე მეურნეობაში სამუშაოთა შესრულებისათვის მცირე მექანიზაციის საშუალებების შესაძენად — ათას მანეთამდე, რომელსაც დაფარავენ 3 წლის განმავლობაში.

დადაწყდა ძროხის შესაძენად მოქალაქეთათვის კრედიტის ოდენობა გაიზარდოს ათას მანეთამდე, დეკეულისა — 500 მანეთამდე, ამასთან ამ სესხს დაფარავენ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებით.

მიზანშეწონილად ცნეს შეიტანონ იმ ქალთა საერთო შრომის სტაჟში, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ და ამასთან დაკავშირებით დასაქმებული არ არიან საზოგადოებრივ წარმოებაში, დრო, რომელსაც ისინი ანდომებენ პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის, კარტოფილის, ბოსტნეულის, მწვანე და სხვა კულტურების მოვლა-მოყვანას პირად დამხმარე მეურნეობებში კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე. გადაწყდა თითოეულ ოლქში, მხარეში, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკაში, რომელსაც საოლქო დაყოფა არა აქვს, დაჩქარონ კოლექტიური ბაღებისა და ბოსტნების განლაგების სქემების შემუშავება, გათვალისწინონ მათი კეთილმოწყობა, ენერგო და წყალმომარაგება, სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფა თითოეულ რაიონში. კოლექტიური ბაღებისა და ბოსტნებისათვის გამოყონ სახელმწიფო მიწის ფონდის მიწები, სოფლო-სამეურნეო საწარმოებს და რეკომენდაცია მიეცათ კოლმეურნეობებს მოქალაქეებს მიჰყიდონ ცხენები და სხვა მუშა პირუტყვი, ამასთან მიანიჭონ მათი შენახვისა და პირად დამხმარე მეურნეობებში სამუშაოდ გამოყენებისა და მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებათა მიხედვით სამუშაოების შესრულების უფლება.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული სასოფლო რაიონებში შეიქმნას მეფუტკრეთა საზოგადოებები, უზრუნველყონ ისინი საჭირო ინვენტარით, მოძრავი პლატფორმებით, გააუმჯობესონ საფუტკრეების მუშაობა, ამასთან მხედველობაში იქონიონ ფუტკრის ოჯახებზე მოქალაქეთა მოთხოვნილების სრული უზრუნველყოფა.

პარტიულ კომიტეტებს, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ მეტად იზრუნონ, იმისათვის, რომ ბინებით უზრუნველყონ კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოების მუშები და მოსამსახურეები.

ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებს, სოფლად მდებარე აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე რჩევა მიეცათ კოლმეურნეობებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს მიჰყიდონ თავიანთი მუშაკებს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებებან მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებით აშენებული ეზოს ნაგებობიანი, საკარმიდამო ტიპის საცხოვრებელი სახლები, ამასთან ამ მუშაკებმა გადაიხადონ ეზოს ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლის ღირებულების 40 პროცენტი თანაბარწილად ყოველთვიურად გაყიდვის დღიდან 50 წლის განმავლობაში.

სოფლად ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარებითა და პირადი დამხმარე მეურნეობების გაძღოლით დაინტერესების, გაზრდის მიზნით გათვალისწინებულია სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებს მიეცეთ კრედიტები:

ეზოს ნაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად — 20 ათას მანეთამდე, რომელსაც დაფარავენ 50 წლის მანძილზე კრედიტის მიღების შემდეგ მესამე წლიდან დაწყებული;

პირუტყვისა და ფრინველის მოვლა-შენახვისათვის ეზოს ნაგებობების ასაშენებლად — 4 ათას მანეთამდე, რომელსაც დაფარავენ 10 წლის განმავლობაში, კრედიტის მიღების შემდეგ მესამე წლიდან დაწყებული;

ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებს, სოფლად მდებარე აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე რჩევა მიეცათ კოლმეურნეობებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს მიჰყიდონ თავიანთი მუშაკებს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებებან მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებით აშენებული ეზოს ნაგებობიანი, საკარმიდამო ტიპის საცხოვრებელი სახლები, ამასთან ამ მუშაკებმა გადაიხადონ ეზოს ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლის ღირებულების 40 პროცენტი თანაბარწილად ყოველთვიურად გაყიდვის დღიდან 50 წლის განმავლობაში.

სოფლად ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარებითა და პირადი დამხმარე მეურნეობების გაძღოლით დაინტერესების, გაზრდის მიზნით გათვალისწინებულია სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებს მიეცეთ კრედიტები:

ეზოს ნაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად — 20 ათას მანეთამდე, რომელსაც დაფარავენ 50 წლის მანძილზე კრედიტის მიღების შემდეგ მესამე წლიდან დაწყებული;

პირუტყვისა და ფრინველის მოვლა-შენახვისათვის ეზოს ნაგებობების ასაშენებლად — 4 ათას მანეთამდე, რომელსაც დაფარავენ 10 წლის განმავლობაში, კრედიტის მიღების შემდეგ მესამე წლიდან დაწყებული;

პირადი დამხმარე მეურნეობაში სამუშაოთა შესრულებისათვის მცირე მექანიზაციის საშუალებების შესაძენად — ათას მანეთამდე, რომელსაც დაფარავენ 3 წლის განმავლობაში.

დადაწყდა ძროხის შესაძენად მოქალაქეთათვის კრედიტის ოდენობა გაიზარდოს ათას მანეთამდე, დეკეულისა — 500 მანეთამდე, ამასთან ამ სესხს დაფარავენ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებით.

მიზანშეწონილად ცნეს შეიტანონ იმ ქალთა საერთო შრომის სტაჟში, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ და ამასთან დაკავშირებით დასაქმებული არ არიან საზოგადოებრივ წარმოებაში, დრო, რომელსაც ისინი ანდომებენ პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის, კარტოფილის, ბოსტნეულის, მწვანე და სხვა კულტურების მოვლა-მოყვანას პირად დამხმარე მეურნეობებში კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე. გადაწყდა თითოეულ ოლქში, მხარეში, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკაში, რომელსაც საოლქო დაყოფა არა აქვს, დაჩქარონ კოლექტიური ბაღებისა და ბოსტნების განლაგების სქემების შემუშავება, გათვალისწინონ მათი კეთილმოწყობა, ენერგო და წყალმომარაგება, სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფა თითოეულ რაიონში. კოლექტიური ბაღებისა და ბოსტნებისათვის გამოყონ სახელმწიფო მიწის ფონდის მიწები, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში კოლმეურნეობების. საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწები. ამასთან მხედველობაში იქონიონ მებაღეობის ამხანაგობათა შექმნა კოლმეურნეებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკებისათვის, რომლებიც მრავალსართულიანი განაშენიანების სახლებში ცხოვრობენ.

დადგენილია, რომ კოლექტიური ბაღებისა და ბოსტნებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა განლაგების დამტკიცებული სქემების შესაბამისად წარმოს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილების საფუძველზე განაცხადების მიღების დღიდან ერთი თვის ვადაში.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებსა და ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ დააჩქარონ კოლექტიური ბაღებისა და ბოსტნების წყალმომარაგების, ელექტრომომარაგებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები, ამასთან მხედველობაში იქონონ, რომ ეს სამუშაოები ძირითადად დაამთავრონ მომდინარე ხუთწლედში. რეკომენდებულია სამუშაოები განხორციელდეს მებაღეობის ამხანაგობათა წევრებს მინიჭებული აქვთ უფლება მათთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე ააშენონ 50 კვადრატულ მეტრამდე განაშენიანების ფართობის მქონე გასათბობი ბაღის სახლები ტერასის (ვერანდის) და მანსარდის ფართობის გარდა, აგრეთვე სამეურნეო ნაგებობანი (ცალკე მდგომი ან შეერთებული) შინაური ფრინველისა და ბოცვრის, სამეურნეო ინვენტარის შესანახად და სხვა საჭიროებისათვის. ნაკვეთზე შეიძლება აშენდეს სათბორები და დათბუნებული გრუნტის სხვა ნაგებობანი სოფლის მეურნეობის კულტურების მოსაყვანად. დაშვებულია სარდაფის გაკეთება სახლისა თუ სამეურნეო ნაგებობის ქვეშ. ბაღის ნაკვეთების მოწყობის ყველა წინათ მოქმედი შეზღუდვა გაუქმებულია.

დადგენილებით ნებადართულია მებაღეობის ამხანაგობათა წევრებს ბაღის სახლების მშენებლობისა და ბაღის ნაკვეთების კეთილმოწყობისათვის მიეცეთ კრედიტი დაახლოებით 5 ათასი მანეთის ოდენობით, რომელიც უნდა დაფარონ 10 წლის განმავლობაში კრედიტის მიღების შემდეგ მესამე წლიდან დაწყებული.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ცენტროსოიუზს, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ გაუუჯობესონ მებაღეობა და მებოსტნეობა სავაჭრო და სამედიცინო მომსახურება, უზრუნველყონ საბაღ-ბოსტნე ინვენტარით და სხვა საქონელზე მათი მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება, განავითარონ მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნამატის შესყიდვის მიმღები პუნქტების ქსელი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილებანი ბაღის სახლებზე, საშენ მასალაზე, სატრანსპორტო, სამშენებლო-სარემონტო და სხვა მომსახურებაზე.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, ცენტროსოიუზს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ მნიშვნელოვნად გააფართოონ პირადი დამხმარე მეურნეობების მქონე მოქალაქეთა, მებაღეთა და მებოსტნეთა ფასანი მომსახურების მოცულობა და სახეობანი, ხელი შეუწყონ ამ საქმეში კოოპერაციული და ინდივიდუალური საქმიანობის განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ სახეობათა მომსახურებას, რომლებიც მიწის ნაკვეთების დამუშავება, სასუქების გაყიდვა და შეტანა, მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენება, საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობა და რემონტი, მცირე მექანიზაციის საშუალებათა და სპარკბოსტნე ინვენტარის გაქირავება, შინაური პირუტყვისა და ბოცვრის ტყავის გამოყენა, მეკვეთის საწყისებზე პროდუქციის გადამუშავება, ზოოვეტერინარული და აგრონომიული მომსახურება.

რეკომენდებულია თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შეძენილი გამოცდილების საფუძველზე მოეწყოს რგოლები, რომლებიც მოსახლეობას გაუწევენ მომსახურებას პირადი დამხმარე მეურნეობის, კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის გაძღოლაში.

სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების სამინისტროსა და სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს დაევალათ განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი იმისათვის, რომ გაზრდილ სახით მივიღოთ ფოსფორიანი, ფოსფორ-კალიანი, ფოსფორ-აზოტიანი, ფოსფორ-ბორიანი, ფოსფორ-ბორ-კალიანი, ბორ-მოლიბდენიანი, ბორ-ფოსფორ-ბორ-კალიანი, ბორ-ფოსფორ-ბორ-კალიანი, ბორ-ფოსფორ-ბორ-ფოსფორ-ბორ-ფოსფორ-

მიეცი ნიჭსა...

ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲛᲝᲒᲑᲐᲖᲔ

უკვე ათი წელია, რაც ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები — შრომითი სწავლებისა და აღზრდის ახალი, პროგრესული ფორმა, რომელსაც შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს მოსწავლეთა პროფორიენტირებას.

ცხადია, წარმატებებზე ლაპარაკი გაცილებით სასიამოვნოა და შეიძლებოდა ამ წერილში პედაგოგიურ მუშაობაში, ყმაწვილების სწავლასა და აღზრდაში მოპოვებულ მიღწევებზე გვესაუბრა, მაგრამ ახლა, როცა, საერთო აღიარებით, სასკოლო რეფორმა სასურველი ტემპით ვერ ვითარდება, „ბუქსობს“, ვფიქრობთ, ნაკლოვანებათა გამომზეურება ჯობს უკვე მიღწეულთ თამამოწონებას.

ნაკლოვანებები კი სასწავლო-საწარმოო კომბინატების მუშაობაში საკმარისზე მეტია. ჯერ კიდევ 1985 წლის 22 თებერვალს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში „რა ულხინს და რა უჭირს სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებს“ ვწერდით თბილისის ოქტომბრის რაიონის კომბინატის გასაჭირზე: რომ ის სარდაფშია მოთავსებული, მეცადინეობა ორ ცვლად მიმდინარეობს, მოსწავლეებს არა აქვთ საშუალება აირჩიონ მათთვის სანტექრესო პროფილი. წლეულს, მარტში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამაც განხილა კომბინატების მუშაობის საკითხი. ზემოთ დასახელებული კომბინატის მუშაობის შესწავლისას გამოვლინდა, რომ მისი მდგომარეობა არათუ არ გამოსწორებულა, პირიქით, გაუარესებულა. თურმე ახლა კომბინატში ზოგჯერ ელექტროენერგიის მიწოდებაც ფერხდება, რის გამოც მეცადინეობა წყდება ხოლმე. გასაგებია, რა პირობებში უხდებათ მუშაობა კომბინატის ადმინისტრაციას, პერსონალს, მოსწავლეებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ახალი სასწავლო წლიდან შრომითს სწავლებაში კვირეული დატვირთვა გაიზარდა და მოსწავლეებს კომბინატში შარშანდელთან შედარებით მეტხანს უწევთ ყოფნა. განა ეს არ იმოქმედებს მოსწავლეთა, ოსტატ-მასწავლებელთა ჯანმრთელობაზე?

ასევე ძველ, შეუფერებელ შენობებშია გარდაბნისა და გურჯაანის კომბინატებიც, სუსტია მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აქ არა აქვთ სასწავლო-საწარმო საამქროები პრაქტიკული მეცადინეობისთვის, და ამიტომ მოსწავლეებს მხოლოდ თეორიული მეცადინეობა უტარდებათ (?!), წესით კი შრომითს სწავლებაში მეცადინეობის ორი მესამედი პრაქტიკულ მეცადინეობას უნდა ეთმობოდეს. ხოლო იქ სადაც ამის შესაძლებლობა არ გაჩნია, შრომითი სწავლება და აღზრდა ფორმალურია. წყალში იყრება სახსრები, უქმად იხარჯება დრო.

სასკოლათაშორისო კომბინატების მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი ხარვეზი ის არის, რომ სპეციალობათა პროფილების დაკომპლექტება ამა თუ იმ პროფესიისათვის მოსწავლის ვარგისიანობისა და მისი მიდრეკილებების შეუმოწმებლად და გაუთვალისწინებლად ხდება.

კომბინატების შენობა-ნაგებობანი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს; შესაცვლელია მოძველებული მანქანა-იარაღები; დასაზუსტებელი და დასახვეწია არაუნიფიცირებული პროგრამები; კომბინატები ვერ გეგმავენ და ვერ აწარმოებენ ისეთ პროდუქციას, რომელსაც ფართოდ გამოიყენებდნენ თვით სახალხო განათლების სისტემაში და პედაგოგიურ ეფექტთან ერთად ეკონომიკური მნიშვნელობაც ექნებოდა; პედაგოგიური კოლექტივები ნაკლებად ზრუნავენ სწავლებისა და აღზრდის პროცესის მეცნიერული დონის ამაღლებაზე, პედაგოგთა დაოსტატებაზე. მაგრამ ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურის მწვავე ნაკლებობას განიცდიან. თითქმის უგულებელყოფილია სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებასთან კავშირი და მოსწავლეთა ტექნიკური წრეების მუშაობა; კომბინატებს არა აქვთ სპეციალური ლაბორატორიები და არც არავინ ზრუნავს მათს მოწყობაზე, ხოლო სასწავლო კაბინეტების აღჭურვილობა საფშავეგესურული ქსოვის დიდ ხიბლს სწორედ კუთხური კოლორიტი ქმნის. ამ კოლორიტს ოსტატი ბუნებრივი ფერების შეჯრეკვით, ორიგინალური კომპოზიციითა და ქსოვის სტილით აღწევს. ყოველივე ეს, სავსოვი მასალის მომზადების, ნართის ღებვის ტექნოლოგიის საიდუმლოებებთან ერთად, ნ. ყურშავიშვილმა თიანეთის რაიონის შორეულ სოფლებში მცხოვრები ხანდაზმული ოსტატებისაგან შეისწავლა. შემდეგ მათს წარმოებაში მოსწავლეები დაახელოვნა და ასე იხსნა ქართული ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი უმშვენიერესი სახეობა მივიწყებისაგან.

თუ ნ. ყურშავიშვილის გამოცდილებას სასკოლათაშორისო კომბინატებში გამოვიყენებთ, ამით საშუალებას მივცემთ ნიჭიერ, შემოქმედ ახალგაზრდებს თავისი ნახელავით გზა გაიკაფონ საელონებისა და საგამოფენო დარბაზებისაკენ, რაც, თავისთავად, დამატებით შესაძლებლობებს შექმნის ახალგაზრდობის პროფესიული დაოსტატებისათვის.

ამჟამად ნ. ყურშავიშვილი იმაზე მუშაობს, რომ ფშავხევსურული ქსოვის ხელსაქმე კუსტარულიდან მანქანაზე გადაიტანოს.

რაიონული სასკოლათაშორისო კომბინატები მოსწავლეებს მეტწილად სოფლის მეურნეობის პროფილით ამზადებენ. ეს კომბინატები შესაბამის ეკონომიკურ რეგიონებშია განლაგებული. ასე, მაგალითად, თერჯოლის რაიონის კომბინატებში მევეხანეობას და მებოსტნეობას ასწავლიან, გორის რაიონისაში — მეხილეობას და ასე შემდეგ. ბევრ კომბინატს მუშაობისათვის აქვს სათანადო ბუნებრივი პირობები, და თუ ეს პირობები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გამოიყენეს, მათ შეეძლებათ მთელი წლის განმავლობაში ბოსტნეულითა და ხილით უზრუნველყონ სკოლა-ინტერნატის ტიპის დაწესებულებანი. მაგალითად. თუ თერჯოლის № 2 სასწავლო-საწარმოო კომბინატის ტერიტორიაზე სათბური მოეწყობა (ამაში ხელი უნდა გამოიღონ ქვაჩპირისა და ჭოგნარის საბჭოთა მეურნეობებმა; აქ აქვთ წყალგაყვანილობა, ელექტროენერგია, ზოგიერთი სახის საშენი მასალა, აქვეა საავტომობილო გზა, რკინიგზა) და ამასთან სწავლებასა და შრომაში გამოიყენებენ ამ მეურნეობათა სავარგულებს, მაშინ კომბინატი პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ სამუშაოებსაც ხარისხიანად შეასრულებდა და ბოსტნეულითაც უზრუნველყოფდა ქუთაისის სკოლა-ინტერნატებსა და თერჯოლის საბავშვო ბაღებს. ახლა კი ეს კომბინატი ბოსტნეულით ზამთარში საკუთარ სასადილოსაც ვერ ამარაგებს როგორც ჯერ არს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დროა, კომბინატმა მომამზადოს მოსწავლეები ბოსტნეული კულტურების. შენახვის სპეციალობით. სულ მალე ცხოვრება ამის საჭიროებასაც დაგვანახვებს.

ჩვენი წინადადების განხორციელებას ის აადვილებს, რომ ყოველივე ზემოთ თქმული ორგანიზაციულად ერთი, განათლების სამინისტროს ფარგლებში, მის კომპეტენციაში თავსდება. შეკვეთის მიმცემი, მიმღები, შემსრულებელი და მომხმარებელი დაწესებულებანი განათლების სამინისტროს ექვემდებარებიან და ამიტომ საქმე სამართავად უფრო მოხერხებული იქნება. ეს მნიშვნელოვნად გააიოლებს მიზნის მიღწევას.

გ. ᲮᲐᲜᲓᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი,

Ო. ᲗᲐᲮᲢᲐᲨᲘᲜᲘᲫᲔ,
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲐ

ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲐᲗᲘᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘ

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲓᲠᲝᲨᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲕᲕᲠᲗᲜᲐ

ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების წვრთნა. „დასავლელები“ და „აღმოსავლელები“ ეწეგიან აქტიური დაზვერვას, შტაბებში აზუსტებენ ამოცანებს, ამუშავებენ ურთიერთმოქმედების საკითხებს. ხორცელდება პოზიციების საინჟინრო აღჭურვა.

— განსაკუთრებული მადლობა უნდა ვუთხრათ განხრობვის საინჟინრო მანქანების ეკიპაჟს, — თქვა მოტოსროლელი ქვეგანყოფის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა ა. პოპიხიელენკომ. — სერჟანტ დ. ხუციშვილის ხელქვეითების ზუსტი მოქმედება დაგვეხმარა საბრძოლო ტექნიკის განაგებაში, საკომანდო პუნქტის მოწყობაში.

შესანიშნმა ბადეებმა, რომელთა მეოხებით მთების რუხ-მოშწვანო ფონზე ტექნიკა აღარც კი ჩანს, უხლავი გახადა ქვეითი ჯარის რამდენიმე საბრძოლო მანქანის ჯავშანზე ახლად დახატული წითელი ვარსკვლავები. ასეა აღნიშნული ეკიპაჟები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს წვრთნის რაიონში მარშზე. მათ მეთაურობენ უმცროსი სერჟანტი ვ. კულაკოვი, სერჟანტები ნ. გულიევი და ვ. აბასოვი. მარშის დროსაც და პოზიციათა მოწყობაზეც წვრთნის მონაწილეებს ძალიან ეხმარებათ მეომრების მიერ ტაქტიკურ მეცადინეობაზე შეძენილი გამოცდილება. ერთი მათგანი — უფროსი ლეიტენანტი კ. კოჩიუნცი, გამოცდილი მებრძოლი, გულუხვად უზიარებს შეძენილ ჩვევებს ახალგაზრდა ოფიცრებსაც და ხელქვეითებსაც.

იმას, რაც უკვე გაკეთდა, და ამოცანებს, რომლებიც ჯერ კიდევ უნდა გადაწყვეტონ, იხილავენ ახლა პარტიულ და კომკავშირულ კრებებზე ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში. პრინციპულად და გულახდილად ეძიებენ შეომრები ისეთ გზებს, რომ სსსწავლო-საბრძოლო ამოცანა მხოლოდ „ფრიადზე“ შეასრულონ.

— ჯარებში მოწყობილი ფართო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა დაგვეხმარა თითოეული ჯარისკაცისათვის, სერჟანტისა და ოფიცრისათვის გაგვეცნო მათ წინაშე დასახული მნიშვნელოვანი ამოცანები, — თქვა ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა — პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვ. გულეგიჩმა. აღმავლობითა და ინტერესით იხილავენ წვრთნის მონაწილენი დიდი სამამულო ომის ვეტერანთა და მეთორმეტე ხუთწლედის მეწინავეთა მიმართვას, რომელიც მათ გამოუგზავნეს.

საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი პოლკოვნიკი ა. ტროშინი, თადარიგის პოლკოვნიკი გ. კრამარენკო, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი შ. შუროაია, ეგრეთვე დიდების ორდენის სრული კავალერი, თადარიგის ზემდგომი ა. გოჩიანი აწერენ ხელს მიმართვას, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „... თქვენ, ახალგაზრდანო, ფრონტელთა ტრადიციებთან ერთად ვთქვათ, მუდამ უნდა იყოთ შეიარაღებული, კონკრეტული საქმეებით ამრავლებდეთ ჩვენს საბრძოლო დიდებას, წვრთნის დროს მოგიწევთ მოქმედება თავდაცვასა და შეტევაში, დღისით და ღამით, ამინდის სხვადასხვა პირობებში, მთებში. იმოქმედეთ ისე, როგორც გასწავლიან მეთაურები, პოლტმუშაკები: საქმის ცოდნით, მარჯვედ, გაბედულად, თავდადებულად, ფხიანად!“

ამიერკავკასიის წარჩინებული მშრომელები — თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი გ. მეტონიძე, ბაქოს ყარაევის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის უფროსი ოპერატორი კ. მამედოვი და საბჭოთა მეურნეობა „დარაკერტის“ მექანიზატორი, სომხეთის სსრ მაისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატი ს. ზახარიანი თავიანთ მმართველობაში წვრილ იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა სამ მოძმე რესპუბლიკაში. საწარმოთა და კოლმეურნეობათა კოლექტივების, პირადად თავიანთი სახელით მეომრებს უსურვებენ წარმატებებს წვრთნაზე დასახული ყველა ამოცანის შესრულებაში.

წვრთნის რაიონში მეომრებს ესტუმრნენ რუსთაველი მშრომელები.

„დასავლელები“ და „აღმოსავლელები“ ამთავრებენ მზადებას აქტიური სსსწავლო-საბრძოლო მოქმედებისათვის.

(საკინფორმის სპეც. კორ.).

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲐᲙᲔᲜ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲡᲤᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲯᲕᲔᲓᲔᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲤᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲐᲛᲑᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 42-ე სესიაზე წარგზავნილი საბჭოთა დელეგაციის მეთაური — გამოვიდა ასამბლეის პლენარულ სხდომაზე. მან, კერძოდ, თქვა:

დღეს მსოფლიო დიდი ცვლილებების ზღურბლზეა, და ჩვენი ბჯობის საგანიც ეს არის.

ბირთვული განიარაღების იდეა ისტორიაში პირველად მიუახლოვდა ხორცშესხმის დაწყებას.

ორი ათასი ქობინი ბირთვული არსენალების მხოლოდ მცირე ნაწილია, მაგრამ საკმაოდ დიდია საიმისოდ, რომ თავისი გაქრობით მსოფლიოს ახალი თვალთახედვა მიანიჭოს.

ამ ქობინების შესახებ შეთანხმება მხოლოდ უმცირესი ნაწილია იმისა, რაც მოხდა. არადა, მოხდა გაცილებით მეტი: საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბოლოს და ბოლოს ერთად წარმოთქვეს უბრთვო ლექსიკონის პირველი სიტყვა.

რიცა ეს სიტყვა საქმედ იქცევა, მსოფლიო ახალ ცოდნასაც შეიძენს. იგი დარწმუნდება, რომ ბირთვული იარაღი და უშიშროება სინონიმები არ არის. რომ უშიშროება მტკიცდება, როცა ქრება ეს იარაღი.

ჯერჯერობით ეს პრინციპი კერძო მაგალითით მტკიცდება, მაგრამ უკვე პრაქტიკულად მკვიდრდება. საქმე ახლა ის არის, შეეძლებთ თუ არა იმავე ლოგიკური წანამძღვრის საფუძველზე უარი ვთქვათ არა ნაწილზე, არამედ მთელ ბირთვულ არსენალზე, აველა სახეობის მასობრივი მოსპობის იარაღზე.

საბჭოთა კავშირი დარწმუნებულია, რომ შეეძლებთ. სასტარტო მოედანი პატარაა, მაგრამ იგი ბიძგს აძლევს უდიდეს საქმეს. ამასწინანდელ შეთანხმებას შეიძლება მოჰყვეს მორიგება სტრატეგიული შეიარაღების ერთბაშად განახევრების შესახებ, თუ, რა თქმა უნდა, შეეძლებთ დავიცვათ ხელშეკრულება რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის თაობაზე.

ახლა კიდევ უფრო რეალურად წარმოგვიდგება ქიმიური იარაღის აკრძალვისა და სრული მოსპობის კონვენცია.

მოსალოდნელია საკმარისობის კონცეფციის საფუძველზე ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების პარალელური პროცესის პროდუქტიული განვითარება.

არის წინსვლის საშუალება, რადგან ჩვენ გაბედული იდეები გვაქვს და მზად ვართ აღმოვფხვრათ დარჩენილი დაბრკოლებები.

„რეალობა და უსაფრთხო მსოფლიოს გარანტიები“, — სესიის წინ გამოქვეყნებული მ. ს. გორბაჩოვის სტატიის ამ სათაურში, თქვა შემდეგ ორატორმა, ჩაქსოვილია ჩვენი დღევანდელი ფიქრების კვინტესენცია.

უსაფრთხო მსოფლიო შესაძლებელია. იგი შესაძლებელია იმიტომ, რომ სხვაგვარი მეტად სახიფათოა. უსაფრთხო მსოფლიოს შესაძლებლობა მისი აუცილებლობის ადეკვატურია. ასეთია რეალობა, გარანტიებად კი მიგვაჩნია **უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა.** სული ჩაუდგას და უხელმძღვანელოს ასეთი სისტემის კოლექტიურ მშენებლობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბუნებრივი საქმეა.

შეახსენა რა დამსწრეთ, რომ გენერალური ასამბლეის 42-ე სესია ემთხვევა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცდაათი წლისთავისწინა პერიოდს, ე. ა. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოქტომბრის რევოლუცია საუკუნის უდიდესი მოვლენაა, რომელმაც უზარმაზარი გავლენა მარტო ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხების ბედ-იღბალზე როდი მოახდინა.

ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე განახლების პროცესი, თქვა მან, მარტო საბჭოთა კავშირის საშინაო საქმე არ არის.

შეუძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირის საქმედ ჩაითვალოს მისწრაფება „ძაღლიოს „ცივი ომის“ ისეთი მემკვიდრეობა, როგორიც მსოფლიოს მტრულ კავშირებად დაყოფაა.

ყოველივე ესეც, ბუნებრივია, შედის გარდაქმნის მიზნებში და ასევე ლოგიკურად გადაიქცევა მის ინსტრუმენტებად საჯაროობა, გულახდილობა, დიალოგი. როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში მათ შორის პირდაპირი, აშკარა ურთიერთკავშირია, და უერთმანეთოდ მათი განხორციელება შეუძლებელია.

ასეთია გარდაქმნის, მისი დომინანტის დამახასიათებელი ნიშანი, საზოგადოების ძალისა და სიჯანსაღის მაჩვენებელი, მისი მომავლის, ღრმა შინაგანი დემოკრატიზმის, გულახდილობისა და პატიოსნების გარანტიები. ნუ მივეცემთ ილუზიებს. ჩვენ არ გადაუფიქრებია მაგისტრალური გზიდან, არ დავიქირავებთ ვიღაცის დემოკრატიის ნორმებსა და წესებს. მადლობას გიხდით რჩევა-დარიგებისათვის, მაგრამ გარდაქმნას წარვმართავთ საკუთარი პროექტით, საკუთარ, სოციალისტურ საფუძველზე. ნება გვიბოძეთ თავად განვსაზღვროთ, როგორი იქნება საბჭოთა კავშირი.

იქნება ისეთი, როგორიც სურს იხილოს იგი საბჭოთა ხალხმა.

ჩვენი მხარდაჭერის მსურველი მხარს დაუჭერს ფართო დემოკრატიულ საწყისებზე საერთაშორისო ურთიერთობის გარდაქმნის პროექტს, მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე მჭიდრო კვანძების გახსნისათვის ყოველგვარ მოქმედებას, ვინაიდან გაერთიანების უმრავლესობის ინტერესები, აქ მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს.

ახალი პოლიტიკური აზროვნება, განაცხადა შემდეგ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, უეჭველად გაიკვალავს გზას, რადგან მისი მასაზრდოებელი გარემო შესანიშნავი კომპონენტებისაგან შედგება. ეს არის პროგრესული პოლიტიკური გამოცდილების კონცენტრაცია; ეს არის თანამედროვე რეალობათა ზუსტი მეცნიერული ანალიზი, შეფასება და პროგნოზი; და ბოლოს, ეს არის იმ ეროვნული შეზღუდულობისაგან თავისუფალი პოლიტიკური აზროვნება, რომელიც პროგოაციულად იწვევს მტრულ დამოკიდებულებას ცივეფინისადმი, ქვეყნების ჯგუფის ან სოციალურ-პოლიტიკური სისტემებისადმი.

ამასთან დაკავშირებით, ნება მიბოძეთ, შევნიშნო, რომ სოციალიზმისადმი მტრული პოლიტიკა გაკოტრდა როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად.

უკვე თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის ფაქტი ახალი პოლიტიკური აზროვნების ჩანასახია. უკვე მაშინ, მისი პრინციპები ჩამოყალიბდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მუხლების სახით, რომელიც უთუოდ ყველა დროისა და ხალხის ერთ-ერთი უდიდესი ნორმატიული აქტია.

ახალი პოლიტიკური აზროვნება აშკარავებს თვით იმ იდეის აბსურდულობას, რომ შესაძლებელია ბირთვული იარაღის მეშვიობით ვინმეს უშიშროების უზრუნველყოფა.

მაგრამ აქვე იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა მშვიდობის უზრუნველყოფა სხვა საშუალებებით და საერთოდ არის კი ასეთი საშუალებები?

დიახ, შეიძლება, უპასუხებს ახალი პოლიტიკური აზროვნება. და აქ კვლავ მინდა მთელი ყურადღება მივაპყრო საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველ სისტემას.

როგორც მ. ს. გორბაჩოვის ნათქვამი ცხადყოფს, მისი ჩამოყალიბება გვესახება ხანგრძლივ, მრავალმხრივ პროცესად, რომელიც კოლექტიური ძალისხმევით ხორციელდება.

არსებითად, მისი მიზანი ის არის, რომ მშვიდობას უზრუნველყოფდეს მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მისი უშიშროების საბჭო, მისი წესდების, პრინციპებისა და დებულებების მტკიცედ დაცვის საფუძველზე

შეგახსენებთ: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიქმნა უბრთვულიარაღო მსოფლიოსათვის, მისი წესდება, ბუნებრივია, ორიენტირებულია ასეთი მსოფლიოს პრობლემათა გადაწყვეტაზე.

ბირთვულმა იარაღმა წარმომვა სხვაგვარი რეალობა, რომელმაც საბოლოო ანგარიშით საშუალება არ მოგვცა სრულად გამოგვეყენებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია როგორც მშვიდობის დაცვისა და უშიშროების მთავარი მექანიზმი. ისე მოხდა, რომ ბირთვულმა კორძმა შეზღუდა წესდების გამოყენების სფერო და შესაძლებლობა. ახლა კოსმოსის მილიტარიზაციის პერსპექტივა კიდევ უფრო მეტი გამოფიტვის საფრთხეს უქმნის მის პრინციპებს.

მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაც ვერ იქმს შეუძლებელს. ვერავითარი ორგანიზაცია, ვერავითარი წესების კრებული, ვერავითარი ქცევის ნორმების კოდექსი ვეღარ იხსნის მსოფლიოს იმ რამდენიმე წუთში, რომლებიც რაკეტის სტარტიდან საყოველთაო ბირთვულ აფეთქებამდე დარჩება. მაგრამ, როცა „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის განხორციელება დაიწყება, ამ დროის მონაკვეთის „შაგრენის ტყავი“ კიდევ უფრო შეიკუმშება.

მიუხედავად ამისა, ამ პროგრამას აქ კვლავ ისეთ რეკლამას უწევდნენ, თითქოს „უფრო უსაფრთხო მსოფლიოს უზრუნველყოფის“ საშუალება იყოს.

ეს ასე არ არის. უშიშროების განტოლებიდან ბირთვულ-კოსმოსური ელემენტის გამორიცხვა ნამდვილი უშიშროების ერთადერთი გზაა.

ყოვლისმომცველი უშიშროების სისტემა გვესახება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი წესდების, როგორც მშვიდობის მთავარი ინსტრუმენტების როლის აღდგენის ერთგვარ გარდამავალ პროგრამად.

შეეხო რა ყოვლისმომცველი სისტემის პრაქტიკულ ასპექტებს, სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ილაპარაკა მის ოთხ — სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და ჰუმანიტარულ ნაწილზე.

სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში მისი შემადგენელი ნაწილებია მთავრობათა ვალდებულებანი პირველებმა არ გამოიყენონ ბირთვული იარაღი, საერთოდ ძალა და ძალით დამუქრება; მიენიჭოს სამხედრო დოქტრინებს მხოლოდ თავდაცვითი ხასიათი; გამოქვეყნდეს მონაცემები თავდაცვის ხარჯებზე, წვრთნისა და მანევრების გეგმებზე; ყველამ აღიაროს არაშეტევითი თავდაცვის, კონტროლის საიმედო სისტემის დაფუძნების პრინციპი.

დარწმუნებული ვართ, რომ უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა რეგიონალური კონფლიქტური სიტუაციების მოწესრიგების საშუალებასაც მოგვცემს.

ორატორი შეეხო სესიაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლას და თქვა: უსულგულოობაა „თავისუფალი სამყაროს“ განსაკუთრებული ინტერესების ზონებად გამოცხადდეს **რეგიონები** და კონტინენტები, საიდანაც იგი თავის ეკონომიკას ახმარს სხვა ხალხების კუთვნილ რესურსებს.

უსულგულოობაა ჯარისკაცთა დაქირავება და შეიარაღება, თავისუფლების მებრძოლებად მათი გამოცხადება და მკვლელობის საზღაურად მათთვის მილიონობით დოლარის გადახდა.

უსულგულოობაა ბანდიტებს ხელში ჩაუგდო იარაღი, რომელსაც ისინი სამგზავრო თვითმფრინავებს უშენენ.

ახლა სულ უფრო გამოკვეთილია სინამდვილე: ავღანელებს ძალუძთ გადაწყვიტონ და კიდეც წყვეტენ თავიანთი ქვეყნის ბედს. ახალი იმედის მომც

ფესტივალი

ბათუმის მუსიკალური შემოდგომა

დამთავრდა ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ფესტივალი—ბათუმის „მუსიკალური შემოდგომა“. მისი ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო და თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. შავიზღვისპირა ქალაქში მუსიკალური აღლუმის მოწყობის ინიციატივა ეკუთვნით ცნობილ ქართველ მომღერლებს ზ. ანჯაფარიძესა და ა. ხომერიკს. ფესტივალის ორგანიზაციისა და ჩატარებას დიდი წვლილი დასდო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ჯ. კახიძემ.

ფესტივალის პროგრამისათვის შეირჩა სპექტაკლები თბილისის საოპერო თეატრის რეპერტუარიდან: ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“, ჯ. ვერდის „ტრუბადური“, „რიგოლეტო“, „დონ კარლოსი“.

პროგრამა გულისხმობდა აგრეთვე გასვლითს და საშეფო კონცერტებს ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში, ნავთობგადამუშავებელ და საყოფაცხოვრებო მანქანათაშენებელ ქარხანაში. დიდძალი მსმენელი დაესწრო ქალაქის სტადიონზე გამართულ კონცერტს.

სპექტაკლები და გალა-კონცერტი გაიმართა ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის შენობაში, დრამატული სცენის ტექნიკურმა პირობებმა ფესტივალის ორგანიზატორ ე ბ ს უკარნახა უარი ეთქვათ დეკორაციებზე და სპექტაკლებისათვის ნახევრადსაკონცერტო სახე მიეცათ. ბათუმის „მუსიკალური შემოდგომის“ ყოველი სპექტაკლი, ყველა კონცერტი ხალხით სავსე დარბაზში მიმდინარეობდა და ცხადყოფდა ბათუმელთა დიდ ინტერესს.

თბილისის საოპერო თეატრის დასის, გუნდის, ორკესტრის, სოლისტების გარდა სპექტაკლებსა და კონცერტებში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ნ. ტერენტიევი (რომელმაც „ტრუბადურში“ აზუჩენას პარტია შეასრულა), და ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტები ე. უზუნიანი, ნ. ბაბურიანი, დ. პოოსსიანი, მსახიობები მ. ანტონიანი, გ. მაქსალიანი, გ. ავაზიანი, რომლებმაც შეასრულეს წამყვანი პარტიები „დაინსში“. სპექტაკლი, რომელშიც გუნდი ქართულად, ხოლო სოლისტები სომხურად მღეროდნენ, ინტერნაციონალური მეგობრობის სადამოდ იქცა.

სპექტაკლებს და კონცერტებს დირიჟორობდნენ ჯანსუღ კახიძე, ოდისეი დიმიტრიადი, რევაზ ტაკიძე, ირაკლი ჭიაურელი.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ მომღერლები, რომელთა ნიჭმა და საშემსრულებლო ოსტატობამ განსაზღვრა საფესტივალო სპექტაკლების და საკონცერტო პროგრამების წარმატება. ფესტივალში მონაწილეობდნენ ვოკალური ხელოვნების ოსტატები ც. ტატიშვილი, მ. ამირანაშვილი, ნ. ანდღულაძე, მ. თომაძე, ა. ხომერიკი, ლ. კალმახელიძე, ე. გეწაძე, ი. კავსაძე, ნ. მკერვალიძე, ნ. გელაშვილი, ლ. ღვედაშვილი, გ. წულუკიძე, ჯ. მდივანი, თ. გუგუშვილი, მ. დავითაშვილი, რ. ლაგვილავა. ფესტივალში საკუთარი წვლილი შეიტანეს კონცერტმაისტერებმა მ. ქურთოშვილმა, დ. მახაშვილმა, ი. პრილიპკომ.

დასკვნითი საღამოს სპექტაკლის „დონ კარლოსის“ ცხენოსნური გმირად იქცა პაატა ბურჭულაძე. იგი უცხოეთში გასტროლებიდან სპეციალურად ჩამოფრინდა ბათუმის ფესტივალისთვის, მაგრამ რაკი ამინდის ჭირეულობამ მოსკოვში შეაფერხა, სპექტაკლის დაწყებაც შეყოვნდა. ხალხით სავსე დარბაზი და მთელი დასი მოუთმენლად ელოდა მომღერალს და ისიც პირდაპირ აეროვაგზლიდან სცენაზე გამოვიდა. ეს მართლაც შემოქმედებითი გმირობა იყო!

ფესტივალის დასასრულს აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ბ. მახარაძემ აღნიშნა: ბათუმელებს სჭირდებათ ჭეშმარიტ მუსიკოსებთან შეხვედრა. საუცხოო კონცერტებმა, ვიმეორებ, გარკვეული სტიმული მისცა ადგილობრივ შემოქმედებითს კოლექტივებს და მომავალში ისინიც უთუოდ მიიღებენ ხოლმე მონაწილეობას ფესტივალში.

ბათუმელთა დიდი ინტერესი იმის საწინდარია, რომ ეს ფესტივალიც ტრადიციად იქცეს. აჭარის ასსრ ხელმძღვანელობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებანი, მათ შორის 7000-ადგილიანი თეატრონის მშენებლობა, უთუოდ შექმნის იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელიც უზრუნველყოფს მასობრივ-კულტურულ სანახაობათა და მათ შორის მსგავსი ფესტივალის ორგანიზაციასაც.

რ. ჟუთათელაძე.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

შაბათ-კვირას დუშეთის რაიონის სოფელ შატილში გაიმართება სახალხო დღესასწაული შატილობა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ეწყობა

ტურისტული ლაშქრობა

რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს. ლაშქრობა სტარტს აიღებს ხვალ თბილისში დილის 10 საათზე რესპუბლიკის მოედანზე და დამთავრდება სოფელ შატილში. ლაშქრობის მონაწილენი შეისვენებენ მდინარე არაგვის ხეობაში სოფლების კორშისა და ბარისახოს რაიონში. შაბათს საღამოს შატილში ახალგაზრდული კოცონთან, გაიმართება კონცერტი, რომელშიც თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

▼▼

ლენტეხის რაიონიდან ჩამოსახლებული 270 ოჯახისათვის წყალტუბოს ზონაში მეხუთე ოვეი შენდება სოფელი

ახალი სამყოფია

ეს კეთილშობილური საქმე „საქგაზრშენის“ № 2 ტრესტის კოლექტივს აქვს მინდობილი. სამშენებლო მოედანზე, რომელსაც 83 ჰექტარი უკავია, კიდევ 24 ორგანიზაციაა დასაქმებული.

სამუშაო ფრონტი საკმაოდ დიდია. სოფლის კომპლექსური განაშენიანების პროექტი, რომელიც სახსოფლპროექტის ქუთაისის ფილიალმა შეიმუშავა, ითვალისწინებს თანამედროვე სოფლის ტიპის დასახლებული პუნქტის შექმნას.

რუბრიკისათვის მასალები მოამზადა „კომუნისტის“ შტატგარეშე კორესპონდენტ მ ა ნ. კლარჯეიშვილმა.

ეკრანზეა ბოშათა ცხოვრება

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მთავრდება ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებთა მიხედვით მხატვრული ფილმის „ჩვენი ბოშები“ — გადაღება, რომლის დამდგმელი რეჟისორია ლეილა გორდელაძე, დამდგმელი მხატვარი — გია ლაფერაძე, ოპერატორი იგორ კრეფსი.

ფილმში მთავარ როლს ასრულებს მოლდავეთის სსრ დამსახურებული არტისტი სვეტლანა ტომა.

მთავრდება ცალკეული ეპიზოდების გადაღება მახარაძის რაიონის სოფლებში, სადაც დიდი სამამულო ომის წლებში ცხოვრობდნენ ბოშები.

ქართველ კინემატოგრაფისტთა ახალი ნამუშევარი ეკრანზე მომავალი წლის დამდეგს გამოვა.

სურათებზე: ბოშათა ბანაკი, რომელიც გადაღებებისათვის შექმნეს მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითში; რეჟისორი ლეილა გორდელაძე და ოპერატორი იგორ კრეფსი გადაღების დროს.

ზ. სამსონიასა და ბ. შარაშენიძის ფოტო
(საქინფორმის „ფოტოქრონიკა“).

ესთეტიკური აღზრდა

მინდა გასწავლოთ ფრენა

გაზაფხულზე ხელოვნების მუშაკთა სახლში ცნობილი მოცეკვავისა და ქოროეგრაფის ანტონ ჩიხლაძის საოხუნჯო სალაშო გაიმართა. ალ. ალექსიძის აღზრდილი ა. ჩიხლაძე წარსულში თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წამყვანი სოლისტი იყო. იგი 1935 წელს ინგლისში გამართული მსოფლიოს ხალხთა ცეკვების კონკურსის გამარჯვებულია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი საკონცერტო მოღვაწეობა ლილი გვარამაძესთან ერთად დიდი სამამულო ომის პერიოდში.

1940 და 1946 წლებში მოსკოვში გამართულ ფიზიკური კულტურის აღლუმებზე ა. ჩიხლაძის მიერ დადგმული ცეკვები გამოირჩეოდა მასშტაბურობითა და სადღესასწაულო განწყობით. 1940 წელს ანდრია ბალანჩივაძის ბალეტში „მთების გული“ ა. ჩიხლაძე ცეკვების დამდგმელი და ზაალის პარტიის შემსრულებელია. დღეს ბატონი ანტონი ნაყოფიერად მოღვაწეობს პედაგოგიურ სარბიელზე, ასწავლის როგორც ქართულ, ისე მსოფლიოს ხალხთა ცეკვებს. აი სწორედ ასეთი ღვაწლმოსილი ადამიანის პატივსაცემად მოვიყარეთ თავი მისმა აღზრდილებმა და თაყვანისმცემლებმა. მაგრამ ჩვენი წერილი მიზნად არ ისახავს საოხუნჯო საღამოს აღწერას. ამჯერად გვინდა მკითხველებს გავაცნოთ მისი პედაგოგიური საქმიანობა, ვინაიდან, ჩემი ღრმა რწმენით, მისი მუშაობის სისტემა და პრინციპი მისაბაძია დამწყები პედაგოგებისათვის ქოროგრაფიის დარგში, ამასთანავე გვინდა ვისაუბროთ საერთოდ ქართული ქოროეგრაფიის აკვარგზე.

უდავოა, რომ დღეს ქართული ცეკვა დიდად პოპულარულია. სსრ კავშირის სახალხო არტისტების ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის რაფინირებულმა ქოროეგრაფიამ მსოფლიო აღიარება მოუპოვა მათ. მაგრამ დღეს საქართველოში უამრავი ქოროგრაფიული კოლექტივი, სტუდია თუ წრე არსებობს, მათ ფონზე შეიძლება ითქვას, რომ ქართული ცეკვის შემდგომი შესწავლის, სრულყოფის, განახლების საქმე მინელდა. თანამედროვე ქართულ ცეკვა დიდად პოპულარულია. სსრ კავშირის სახალხო არტისტების ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის რაფინირებულმა ქოროეგრაფიამ მსოფლიო აღიარება მოუპოვა მათ. მაგრამ დღეს საქართველოში უამრავი ქოროგრაფიული კოლექტივი, სტუდია თუ წრე არსებობს, მათ ფონზე შეიძლება ითქვას, რომ ქართული ცეკვის შემდგომი შესწავლის, სრულყოფის, განახლების საქმე მინელდა. თანამედროვე ქართულ ხალხურ ცეკვაში გაბატონებას იწყებს დილეტანტიზმი, არაპროფესიონალიზმი, ვინაიდან ცეკვის მასწავლებლებად ზოგჯერ შეხვდებით შემთხვევითს ადამიანებს.

ხალხურმა ცეკვამ მას შემდეგ, რაც სცენაზე გადაინაცვლა და გახდა თეატრალური, მხატვრული, პროფესიული, დროა შექმნას ორგორც სხვა სახის ხელოვნების დარგებმა, უფრო სრულყოფილი სასწავლო, საგანმანათლებლო დისციპლინები, რომელთა დაუფლება უნდა მოხდეს თეატრალური ინსტიტუტის შესაბამის განყოფილებაზე. იქნებ თეატრალურ ინსტიტუტში გაიხსნას ქოროგრაფიის ფაკულტეტი?

ქოროეგრაფიულ წრეებსა თუ სტუდიებში ბავშვების მიღებისას სათანადო ყურადღება არ ექცევა ადამიანის ანთროპოლოგიურ მონაცემებს. ეს უკანასკნელი, სხვა ფსიქო-სომატურ ნიშნებთან ერთად, მნიშვნელოვანი ფაქტორია სცენაზე ქართველი ერის წარმოსაჩენად. ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლად ირღვევა სცენაზე ქართული ეროვნული კოსტიუმის მორგებულობა, მოდელირება, ხოლო ქალები ამ ზომების და ნიშნების გამოსწორებას ცდილობენ პარიკის, გრიმის და თავსაბამკაულების არასწორად და ულაზათო ხმარებით.

ზოგიერთი დამწყები პედაგოგი კიდევ ერთს სცოდავს. პატარებს არც კი აქვთ ხოლმე სათანადოდ გავარჯიშებული მამოძრავებელი აპარატი, რომ უკვე ასწავლის მოძრაობებს, ხოლო ეს უკანასკნელი „აუნუფრო გრნნბითა და სხეულის მახსოვრობით“ საფუძვლიანად არა აქვთ ათვისებული, რომ უკვე ცეკვებს დგამენ, პროგრამას ადგენენ, კონკურსებში და კონცერტებში მონაწილეობენ. ზოგიერთ წრეებში კოსტიუმების შეკერვა მშობლების სახსრებით ხდება. ისინი იხდიან ზედმეტ ხარჯებსაც.

ასეთი ანსამბლებიდან პროფესიული კოლექტივები სათანადო ნიჭითა და ფიზიკური მონაცემებით გამორჩეულებს ცოტას იღებს. უარესი მდგომარეობაა ზოგიერთ პროფესიულ კოლექტივშიც. მათი მუშაობის პრინციპი არავითარ თეორიულ ცოდნასა და სისტემას არ ექვემდებარება. ანსამბლებში ნაკლებად ჩანან თავისთავადი, მკვეთრი ინდივიდუალური მონაცემების მქონე ტალანტები, ვარსკვლავები, რომლებიც ქართულ ცეკვას უთუოდ სჭირდება. ქოროეგრაფები ნიჭიერ მოცეკვავეებთან თეორიულად არ მუშაობენ, არ ცდილობენ მათი თვალსაწიერის გაფართოებას. ძალიან ბევრს წარმოდგენა არა აქვს, რა ჩაიფიქრა ქოროეგრაფმა, როლის, სოლო პარტიის, კომპოზიციის თანავტორობაზე, ინტერპრეტაციაზე, გარდასახვაზე, განწყობის შემუშავებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, წარმოუდგენელია, მსახიობი თუნდაც პოპულარული ლიტერატურიდან მაინც არ იცნობდეს თანამედროვე ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის, უმაღლესი ნერვული მოქმედების ზოგად საკითხებს. ამ საკითხების გაცნობის გარეშე ძნელია ტალანტების მთელი შესაძლებლობების გამოვლენა, მათი გამოვლინის დაჩქარების პროცესი.

ანტონ ჩიხლაძის დროინდელ მოცეკვავეებსა და ქოროეგრაფებს ფართო და სპეციალური განათლება ჰქონდათ მიღებული. მათი უმრავლესობა ცეკვის სტუდიებში სწავლობდა ადამიანის ანატომიას, ხელოვნების და ცეკვის ისტორიას, კოსტიუმისა და გრიმის ისტორიას. ამ პედაგოგებთან ცეკვის წრეში ჩარიცხვაზე ყოველთვის იყო კონკურენცია.

ანტონ ჩიხლაძემ ზედმიწევნით კარგად იცოდა მსოფლიოს ხალხთა და ქართული ცეკვები, მათი ისტორია ჰქონდა უდიდესი ფანტაზია, მუსიკალობა. ძალიან კარგად იცნობდა ყმაწვილის ფსიქო-ფიზიკურ აპარატს და არასოდეს ისეთ ცეკვას არ გვიდგამდა ბავშვებს, რომლებსაც ვერ მოვიტეხდით. ცეკვების დადგმის დროს ყოველთვის გათვალისწინებული ჰქონდა ბავშვის ასაკი, ფსიქიკა, გონებრივი მომზადება და მამოძრავებელი აპარატის მდგომარეობა! ცეკვებს გვიდგამდა იმ ტემპით, იმ შინაარსის, იმ სირთულის მიხედვით, რომლებშიც ჩვენ თავისუფლად, მხიარულად, მსუბუქად და მოქნილად ვგრძნობდით თავს. ამიტომ ჩიხლაძის აღზრდილთა შორის არ იგრძნობა სიყალბე, დაჭიმულობა, ყმაწვილებს არ ჰქონდათ დაძაბული სახეები. გვეცვა მოხერხებული, ფეროვანი და იაფფასიანი ნაჩუქებისაგან შეკერილი კოსტიუმები. გამორიცხული იყო მშობლების ხარჯით შეკერილი სამოსელი. ეს წარმოუდგენელი იყო. როდესაც სადღესასწაულო კონცერტებისთვის ანტონ ჩიხლაძე და დრამატული წრის ხელმძღვანელი ნოდარ ჩხეიძე დრამატულ-ქორეოგრაფიულ კომპოზიციას გაიაზრებდნენ, მაშინ ისინი განწყობის შემუშავებისა და იმპროვიზაციის ზედმეტ გაკვეთილებს გვიტარებდნენ.

ასეთნაირად მომზადებული დადგმები ყოველთვის მრავალფეროვანი და გააზრებული იყო. ანტონ ჩიხლაძეს უყვარდა მშობლების ნებართვით დამატებით დროში იმპროვიზ ე ბ უ ლი ცეკვის გაკვეთილები რომელიმე მუსიკალური ნაწარმოების მიხედვით. ვფიქრობ, ეს გაკვეთილები აისედორა დუნკანის სისტემის გაკვეთილებს წაგავდა. ცნობილი ამერიკელი მოცეკვავე თავის აღსაზრდელებს ეუბნებოდა: „მე თქვენ ცეკვას არ გასწავლით, მინდა გასწავლოთ ფრენა ისე, როგორც დაფრინავენ ჩიტები, მინდა ისეთივე ელასტიკური და მოქნილები იყოთ, როგორც ირწევიან ნორჩი ხის ყლორტები ქარში, მინდა ისე გიხაროდეთ, როგორც ჰეპელა შეხარის მაისის ღილას“.

ყოველი ხელოვნისათვის ნათელია ის მთავარი და მნიშვნელოვანი აზრი, რომელიც დუნკანის სიტყვებში ძევს: სიმსუბუქე, მოქნილობა, თავისუფალი სუნთქვა, სილაღე, ფრენა... განა ამ თვისებებს არ უნდა გამოუმუშავებდეს და უვითარებდეს დამწყები პედაგოგი ყმაწვილებს?

ასეთი პედაგოგია ანტონ ჩიხლაძე! ბედნიერებაა, რომ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები გავატარე ასეთ პედაგოგთან ურთიერთობაში და ცეკვის გაკვეთილების გარდა მისმა აღზრდილებმა მისგან ზნეობის გაკვეთილებიც მივიღეთ.

ლატავრა ფოჩიანი,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ფეიქითხეთ მინისტრს!

დღეს, 25 სექტემბერს, 16 საათზე გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებთან მორიგი პირდაპირი სატელეფონო კავშირი ექნება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს კარლო გარდაფხაძეს.

„კომუნისტის“ მკითხველებს საშუალება გექნებათ უშუალოდ ესაუბროთ ჩვენს რედაქციაში მოწვეულ მინისტრს.

პატივცემულო ამხანაგებო! პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენში მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ვრცელი პროგრამა ხორციელდება.

ამასთან ერთად შეუმჩნეველი როდია ამ დარგში ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, მარტივი საკითხების გადაწყვეტის გაჭიანურების, განცხადებებისა და საჩივრების უყურადღებოდ და დაგვიანებით განხილვის ფაქტები. ამაზე მეტყველებს რედაქციაში მიღებული არაერთი წერილი.

რა კეთდება სამინისტროს აპარატის და მთლიანად სისტემის მუშაობის გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის? შრომისა და მის ვეტერანთა, მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეთა, ბავშვობიდან ინვალიდთა, მრავალშვილიან დედათა და მარტოხელა ქალთა საპენსიო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის? რა შეღავათებით სარგებლობენ სამამულო ომის ინვალიდები, მონაწილენი და ფრონტელ მებრძოლთა ოჯახები? როგორია მომუშავე პენსიონერებისთვის პენსიის მიცემის წესი? როდის შეიძლება დაინიშნოს პენსია არასრული სტაჟით? რა ცვლილებებია მოსალოდნელი საპენსიო კანონმდებლობაში?

ვფიქრობთ, მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ესა და სხვა საკითხები სოციალური უზრუნველყოფის მინისტრისა და „კომუნისტის“ მკითხველთა უშუალო, პირდაპირი სატელეფონო სჯა-ბაასის ძირითადი თემა იქნება.

რასაკვირველია, მკითხველებს შეუძლიათ მინისტრს მიმართონ სოციალური უზრუნველყოფის სამმართველო „სოიუზპეჩატი“ შეგახსენებთ, რომ საუწყვეთო ხელმოწერის მიღება შეწყდება 1 ოქტომბერს. აღნიშნული ვადის შემდეგ განაცხადები გადარიცხვით ხელმოწერის გაფორმებაზე არ მიიღება.

1 ოქტომბრამდე ხელმოწერა გადარიცხვით გაფორმდება ყოველდღე (გარდა კვირისა) „სოიუზპეჩატის“ საგენტოებში, ბინაფოფლებებსა და საწარმოო უბნებში.

საწარმო-დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საუურადღებოდ!

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველო „სოიუზპეჩატი“ შეგახსენებთ, რომ საუწყვეთო ხელმოწერის მიღება შეწყდება 1 ოქტომბერს. აღნიშნული ვადის შემდეგ განაცხადები გადარიცხვით ხელმოწერის გაფორმებაზე არ მიიღება.

1 ოქტომბრამდე ხელმოწერა გადარიცხვით გაფორმდება ყოველდღე (გარდა კვირისა) „სოიუზპეჩატის“ საგენტოებში, ბინაფოფლებებსა და საწარმოო უბნებში.

„სოიუზპეჩატის“ პრესის გავრცელების სამმართველო.

პირველი გამარჯვება

გუშინ ჩვენი ქვეყნის სამ ქალაქში სტარტი აიღო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების 55-ე საკავშირო ჩემპიონატმა. თბილისის ქვეჯგუფში, როგორც იცით, ოთხი გუნდი ასპარეზობს — ცსკა, მოსკოვის „დინამო“, დონეცკის „შახტიორი“ და თბილისის „დინამო“.

პირველ ტურში თბილისელთა მეტოქე იყო დონეცკის „შახტიორი“. ეს გუნდი შარშან გამოჩნდა უმაღლეს ლიგაში და მეხუთე ადგილი დაიკავა. დებიუტანტისგან ასეთ შედეგს, ცხადია, არავინ ელოდა. გუშინ დონეცკელები თავიანთი ლიდერის — სერგეი ბაბენკოს (იგი ტრავმირებულია) გარეშე გამოვიდნენ მოედანზე, მაგრამ მაინც მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებს. მართალია „დინამო“ პირველივე წუთებზე საგრძნობლად დაწინაურდა, ტაიმი 11 ქულის უპირატესობით მოიგო (46:35), მაგრამ შესვენების შემდეგ თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და საფინალო სასტვენამდე ძნელი სათქმელი იყო ვის დარჩებოდა გამარჯვება. გადამწყვეტ მომენტში ჩინებულად ითამაშა გელა დარსაძემ, ფარქვეშ აქტიურად მოქმედებდა ნიკოლოზ დერიუგინი. საბოლოოდ, დინამოელებმა დაჯაბნეს მეტოქე და პირველი გამარჯვება მოიპოვეს — 86:83. დარსაძემ და დერიუგინმა გუნდს 20-20 ქულა შესძინეს, დონეცკელთაგან საუკეთესო იყო ალექსეი ერმოლინსკი — 19 ქულა.

ცსკა-სა და მოსკოვის „დინამოს“ შეხვედრაში გაიმარჯვეს არმიელებმა — 82:76 (45:37).

ლენინგრადში გამართულ შეხვედრათა შედეგები ასეთია: ასკ (კიევი)-„სტროიტელი“ (კიევი) — 109:92, „სპარტაკი“ (ლენინგრადი)-„კალევი“ (ტალინი) — 81:93.

ე. ბერიშვილი.

ტურნირი, მატჩი, შედეგი

ფეხბურთი. გასულ ოთხშაბათს გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის რამდენიმე მატჩი. **II ჯგუფი.** შვეიცის ნაკრები საკუთარ მოედანზე დამარცხდა პორტუგალიის გუნდთან — 0:1. მიუხედავად ამისა, შვეიდები 10 ქულით ლიდერობენ. **III ჯგუფი.** ოსლოში ნორვეგიელმა ფეხბურთელებმა ისლანდიის ნაკრებს უმასპინძლეს. ეს მატჩიც სტუმრათა გამარჯვებით დამთავრდა (1:0). როგორც ცნობილია, ამ ჯგუფში საბჭოთა კავშირისა (10 ქულა) და გდრ-ის (6 ქულა) ფეხბურთელები ლიდერობენ. ეს გუნდები 10 ოქტომბერს ბერლინში შეხვდებიან ერთმანეთს. **V ჯგუფი.** პოლონეთი-უნგრეთი — 3:2. აქ 9 ქულით ჯერჯერობით წინ არის საბერძნეთის ნაკრები, ჰოლანდიელებს 8 ქულა აქვთ, პოლონელებს — 6. **VII ჯგუფი.** ფრიად საჭირო 2 ქულა მოიპოვეს ბულგარელებმა, რომლებმაც სოფიაში ბელგიის გუნდს მოუგეს — 2:0. ახლა ბულგართის ხელმძღვანელებს 10 ქულა აქვს და ჯგუფში პირველ ადგილზეა.

გაიმართა აგრეთვე **ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის** ორი მატჩი; ჩეხოსლოვაკია — ფინეთი — 2:0, შვეიცია — ესპანეთი — 2:0. აქვე გაგაცნობთ ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრათა შედეგებსაც: გფრ — დანია — 1:0, ინგლისი — იუგოსლავია — 1:0, ესპანეთი — ლუქსემბურგი — 2:0.

მძლეოსნობა. ტოკიოს ოლიმპიურ სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში არაერთმა ცნობილმა სპორტსმენმა იისპარეზა. ჭოკით ხტომაში უძლიერესი იყო სერგი ბუბკა — 590 სმ. ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა სარეკორდო სიმაღლეზე (605 სმ) მიიტანა იერიში, მაგრამ ამჯერად სამივე ცდა უშედეგო გამოდგა. რომის მსოფლიო ჩემპიონატის ორგზის ჩემპიონმა, ზაპოროჟიელმა ტატიანა სამოლენკომ იოლად მოიგო 800 მეტრზე რენი — 2.05,59, მოსკოველმა ტატიანა ბიკოვამ კი სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა — 189 სმ.

გადავდივართ ზამთრის დროზე

სსრ კავშირის ერთიანი დროისა და ეტალონურ სახელმწიფო კომისია გვაუწყებს, რომ 1987 წლის 27 სექტემბერს საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე უქმდება ზაფხულის დრო.

ზამთრის დროზე გადავალთ 1987 წლის 27 სექტემბერს 3 საათზე, რისთვისაც საათის ისარი ერთი საათით უკან უნდა გადავწოთ. (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
ლ. კიკნაძე

თავგასული მძღოლები და მათი „შემწყალენი“

რეიდმა გამოაჭლინა

„ულაბანის“ მარკის ხუთი ავტობუსი (სახელმწიფო ნომრები 37-18 გან, 46-09 გას, 55-35 გაე, 38-94 გან, 57-27 გას), რომლებიც ეკუთვნის რესპუბლიკის გამსახკომის მომარაგება-დაკომპლექტების სამმართველოს ავტომეურნეობასა და საქშიგნის ბაზას, ზედმიწევნით ზუსტად ასრულებენ „დანიშნულ რეისებს“.

ყოველ დილით 6 საათზე კლიენტებით გაჭედილი და სურსათსანოვაგით დატვირთული ავტობუსები გეზს თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებისაკენ იღებენ, ხოლო საღამით ვაკრობის შემდეგ 19 საათზე უკან ბრუნდებიან. მარტო სოფელ გაჩიანს 30-მდე ასეთი ავტობუსი „ემსახურება“. ტყუილად კი არ ხუმრობენ აქ: ასე გამართულად ნეტავ ოფიციალურად დანიშნული ტრანსპორტი მუშაობდესო.

— სამწუხაროდ, სახელმწიფო ტრანსპორტის პირადი გამდიდრების მიზნით გამოყენების შემთხვევა იშვიათი როდია, — გვითხრა გარდაბნის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსმა, მილიციის პოლკოვნიკმა ა. გუშარაშვილმა და ფაქტები მოიშველია: — ოფიციალური მონაცემებით, ჩვენს რაიონში ცხოვრობს ათასამდე მძღოლი, რომლებიც რაიონის გარეთ მუშაობენ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა სარგებლობს საწარმოებისა და ორგანიზაციების აჭარა წყარუებით, უკონტროლობით და მფარველობით, სახელმწიფო ავტომანქანებს ღამის საათებში საკუთარ ეზოებში აყენებენ და როგორც მოესურვებათ, ისე იყენებენ, დადიან აღმა-დაღმა ხალტურაზე, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს ადგილობრივი მძღოლები იყვნენ ზედმიწევნით პატიოსნები, კერძო რეისებზე ისინიც არ ამბობენ უარს. ჩვენ სასტიკად ვებრძვით მათ.

— ჩვენ მიერ მოწყობილმა რეიდებმა ახლახან ასზე მეტი ასეთი მანქანა და მძღოლი გამოავლინა, — ჩაერთო საუბარში რაიონის ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ა. დოლიძე და განაგრძო: — გამახკომის სისტემის სამსახურები, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. ავიღოთ რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოკოლონა 2662-ის ფილიალი. მათი „ლაზ-695“ მარკის ოთხი ავტობუსი (სახელმწიფო ნომრები 29-83 გაე, 20-75 გაჩ, 55-20 გას, 30-43 გაჩ) მთელ ღამეს უმეთვალყურეოდ არიან მიტოვებული და მძღოლებს ოჯახურად ეზოებში ეძინათ, ისე იყენებენ. საწარმოო გაერთიანება „აგრომრეწვტრანსს“ ასეთივე უპატრონობა უბოძებია „მაზ-503“ მარკის (№ 49-90 გაჩ) ავტომანქანისათვის, რომელიც სოფელ ქვემო ალექსეევკაში „ათევს“ ღამეს, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ გარაჟებში შესვლას არავინ სთხოვს გეოლოგიის სამმართველოს თერმულ წყლებზე ღრმა საძიებო ბურღვის ექსპედიციის „უაზ-469“ მარკის (№ 98-31) ავტომანქანას.

აი კიდევ ის საწარმო-დაწესებულებანი, რომელთა ავტომანქანები და მძღოლები რეიდის მონაწილეთა თვალთახედვის არეში მოხვდნენ: სახაგრომრეწვის მეორე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო (№ 00-27 გამ), საქნათლის ლილოს ტრანსპორტის სამმართველო (98-40 გას), სახაგრომრეწვი, საქსოფლმომარაგების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მე-4 ავტოსატრანსპორტო საწარმო (80-40 კაპ), კავკასიელექტრომონტაჟის საქართველოს სამინტაჟო სამმართველო (21-69 გაია), საქართველოს სავეტერინარო-ზოოტექნიკური სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი (19-37 გაი), რუსთავის პროფტექნიკური სასწავლებელი (13-75 გან), ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის ავტოტრანსპორტისა და საავტომობილო მექანიზმების ბაზა (30-98 გაბ), საქმშენტრასის მეორე ავტოსატრანსპორტო საწარმო (31-31 გაჩ), საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის მეოთხე ავტოსატრანსპორტო საწარმო (25-36 გაე).

გამოვლენილია აგრეთვე ღამის საათებში ავტობუსების ეზოებში დგომისა და მგზავრთა უკანონო გადაყვანის მრავალი ფაქტი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლით. უთუოდ უნდა სრულდებოდეს აგრეთვე ასეთი ორგანიზაციების მიმართ ზემდგომი ორგანოების დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს, რომ, თუ ავტომანქანებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ ისინი, უნდა ჩამოერთვათ და გადაეცეთ სხვა ორგანიზაციას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დამყარდეს წესრიგი ტრანსპორტზე და ილაგმონ უშრომელი შემოსავლით გამდიდრების მსურველნი, რომლებიც ამ სფეროში საკმაოდ ბოგინობენ.

დ. ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

25 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — „შეხვედრის ადგილის შეცვლა არ შეიძლება“.

II და III სერია. 11.50 — მსოფლიო და ახ